# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 60 სამშაბათი, 17 მარტი 1909 წ. № 60

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეულ სადამს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ღამე საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს უკან არ ვუგზავნით. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან დღისით 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



13 მარტს ღამე ქუთაისში ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სტატსკი სოვეტნიკი

ლევან ტიმოთეს ძე ჯაყელი,

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა თეოდოსია პეტრეს ასული, შვილები: ლევან, ნიკოლოზ, ნინო და ალექსანდრე, ძმა გრიგოლ და ძმის წული ელისაბედ ალექსანდრეს ასული. პანაშვიდები ყოველ დღე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—6.—1)

ქვრივი ეკატერინე იაკობის ასული კარხოევისა გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ 23 ამა მარტისათვისა, საათის 10 ზე, დილით, კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში, რომელიც ქ. ახალციხის ახალ ნაწილშია, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი მის დაუვიწყარ ასულის ახალგაზდის

მაგდალინა კირილეს ასულის კარხოევის

სულის მოსახსენებლად. (1—ბაშ.—1)

მაგდალინა ავთანდილის ასული, ნიკოლოზ ავთანდილის ძე და ავთანდილ იოსების ძე ჯულაბაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას გორში 14 ამა მარტს პირველი ორი—დაუვიწყარ და საყვარელ ძმის, ხოლო მესამე—ბიძის

როქე ავთანდილის ძის ჯულაბაშვილისას.

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს ექვს საათზე, გამოსვენება მიცვალებულისა ოთხშაბათს, 18 მარტს, დილის 11 საათზე, გორის რომის-კათოლიკეთა ეკლესიაში. დასაფლავება გორში. ვთხოვთ გვირგვინებისთვის ნურავინ შეიწუხებს თავს. (1—153—1)

ოთხშაბათს, 18 მარტს,

ილია სოლომონის ძის უზნაძის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ოლღა მაკარის ასული ხერხეულიძისა, თავ. გიორგი ალექსანდრეს ძე ხერხეულიძე, ეკატერინე ნიკოლოზის ასული და მაკარ თეოდორეს ძე ალექსანდროვები.

წირვა დაიწყება დილის 9½ საათზე. (1—155—1)

ოლიმპიადა დავითის ასული წულეისკირისა, პეტრე ვასილის ძე წულეისკირი და მეუღლე მისი ანასტასია ქაიხოსროს ასული და შვილნი მათნი: ალექსანდრა, ნინა, დავით, ვერა, ვასილ, ვანო და პიმენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—ძვირფას მეუღლის, მეორე და მესამე—დაუვიწყარ შვილის და დანარჩენნი—საყვარელ ძმის, ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტის

გრიშა პეტრეს ძის წულეისკირისას.

პანაშვიდი ყოველ დღე, ნაშუადღევის 6 საათზე, საკუთარ სახლში დადიანის შესახვევში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—კკ—1)

წარმოდგენა № 7. ქართული თეატრი წარმოდგენა № 7

ოთხშაბათს, 18 მარტს, 1909 წ. ქართულ დრამ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული პიესა ალ. ყაზბეგისა.

კონსტანტინე ბატონიშვილი

დრამა 5 მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასები ჩვეულებრივია. ✦ დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად «თოვლი», „ჩერჩეტი“, „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“.

რეჟისორი ვ. შალიკაშვილი. რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგადოებისა.



ცირკი ძმ. ნიკიტინებისა

სამშაბათს, 17 მარტს, დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა სამ მოქმედებად. ცირკი სულ ცოტა ხნით დარჩება ტფილისში. დებიუტი ახალ არტისტებისა. სხვათა შორის მესამე განყოფილებაში ესე 10½ საათზე ოთხი საინტერესო ჭიდაობა; იჭიდავებენ: 1. მულდონი და შულცი; 2. ოსიპენკო და იუსუფ-მახმუტ-ოღლი; 3. მაისურაძე და ლურიხი; 4. პიერარ ლე-კოლოსი და კრახუტო. დაწვრილებით პროგრამებში.

დასაწყისი საღამოს 8 ნახევ. საათზე.

18 მარტს ბენეფისი ცირკის გამგის მ. პ. კუდრიავცევისა.

(0—1) დირექტორი ცირკისა აკიმ ალ. ნიკიტინი.

ბახმაროს (ოზურგეთის მაზრა) მომხმარებელ საზოგადოების

„ქ-ა-ნ-მ-რ-თ-ე-ლ-ო-ბ-ა“-ს

გამგეობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ პირველ აპრილს ამა წლისას, დილის თორმეტ საათზედ, ქ. ოზურგეთში, ეტლთა ამხანაგობის კანტორაში, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლითაც გაიცემა იჯარით აგარაკ ბახმაროში. ამა 1908 წლის სეზონის განმავლობაში, საზოგადოების შემდეგი სავაჭროები:

1. სასადილო სახლი თავის ბეჭელითა.
2. საბაკალეინო სავაჭრო სახლი.
3. ორი პურის საცხობი ფურნე.
4. კეგლი.

ვისაც სურს აღნიშნულ სავაჭროების აღება ამ სეზონში, ის უნდა გამოცხადდეს ქ. ოზურგეთში 1 აპრილს თავისუფ. ეტლ. ამხ. კანტორაში.

გამგეობის წევრნი ( დ. ზ. ცეცხლაძე. ( მღ. მ. ქავჟარაძე. ( დ. ზ. თალაქვაძე.

(3—6.—1)

მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

იყიდება საგანგებოდ, შეკვეთით გამზადებული საუკეთესო აბრეშუმის თესლი, ამილიანა კაკიძის ფირმისა. სამიწლის ზედიზედ გამოცდილებამ ნათლად გვაჩვენა: ამ მეხსმა მისხალმა თესლმა მოგვცა საუკეთესო პარკი სამ ფუთ ნახევრიდან ოთხუთ ნახევრამდის. ფასი ამ თესლისა შედარებით სხვა ფირმის თესლთან იაფია.

ამ თესლის საწყობი არის ბათუმში ფირმის წარმომადგენლებთან: აზილგს დიმიტრიადთან და მქვ. ბერძენიშვილთან.

ეს თესლი იყიდება ქუთაისში ნ. ჯანელიძესთან, სამტრედიაში—თოდორაძეთან და კაცაძესთან, ოზურგეთში—დ. ცეცხლაძესთან, ჩახატაურში—კ. სიხარულიძესთან და გ. ცინცაძესთან, ნაგომარზედ—ა. ნიკოლაშვილთან, კელენჯიხაში—იაკობ. მანავასთან. (23—121—6)

სასტუმარი იაფობა

ვაჭრობის შეწყვეტ'ს გამო

იყიდება

| აბრეშუმის ხალათები | კაცის საცვალი | ოჯახისა და ბავშვის საცვალი |
|---|---|---|
| დაკლებულია 60% | დაკლებულია 50% | დაკლებულია 40% |

ძმ. ა. და ი. ალშვანგების

მაღაზია

გოლოვინის პროსპექტი.

იყიდება მოწყობილება და მაღაზიაც გაიცემა. (1—6.—1)

ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ერთად-ერთი წარმომადგენელი ყოვლად საუკეთესო უტყუარ

„პასხალიდის“

— ✦ აბრეშუმის თესლისა ✦ —

მთელი გურიისა და ბათუმის ოლქისა არის

მათე გაბრიელის ძე რუსიძე, რომლის კანტორა და თესლის უმთავრესი საწყობი იმყოფება ქ. ბათუმში, მარინსკი პროსპ., სახლი № 34, პოლიციის გვერდზე.

განყოფილება: მიხაილოვის ქუჩა, კანტორა „იმედი“.

წელს ეს თესლი, გასულ წლებთან შედარებით, ბევრად იაფია. ვინაიდან ფირმასთან არის შეკრული მრავალ-წლიური პირობა და დიდი „ზაკაზიც“. თესლის მყიდველები რაც ადრე შეიძენენ, იმდენად იაფად დაუთმობათ. (9—ჩხ—4)

ახლად გახსნილი

ტფილისის

კერძო სამკურნალო

გარედან უოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა,

ტელეფ. 695.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ლამბაშიძე—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

გ. მ. მაკაროვი—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

საღამოთი.

ა. გ. მირზოევი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

ნ. გ. ჭიჭინაძე—ყოვ დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—14)

ექიმი ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (ნ—81)

ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—33)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—81)

ექიმი ქუთაისში ვ. წერეთელი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აფქალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდ-რონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—102)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6. 19)

დაიკარგა მიხ. საავადმყოფოდან ვარანცოვამდის თვრამეტი თუმნის და ხუთი მანეთის ქაღალდი ნინა მღებამის სახელობაზე. ვთხოვ ვინც იპოვოს გადასცეს გიგო მაისურაძეს მირზოევის სახლში, ბულვარზე, ჭავჭავაძის ქუჩის კუთხეში, N 2. გასამრჯელოს მიიღებს ხუთ მანეთს. ნინა მღებამე. (3—143—3)

ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის ამსრულებელი

სთხოვს ბ-ნთ თავად-აზნაურთ ტფ. გუბერნიისას, მობრძანდნენ ამა წლის 21 მარტს, საღამოს 8 საათზე, თავად-აზნაურობის დეპუტატთა სადგომში (ბელინსკის ქუჩა, № 2).

თავად-აზნაურთა საგუბერნიო საგანგებო კრებაზე.

გასარჩევი საგანი:

საფინანსო კომისიის მოხსენება თავად-აზნაურობის ფულის ანგარიშის შესახებ. (3—6—1)

საალდგომოდ გამოვა

ახალი ალმანახი

„არშიყი“

დასაბეჭდი მასალა მიიღება 23 მარტამდე შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Типографія „Шрома“, В. Квинтрадзе, არშიყისათვის. (2—6.—1)


## ტფილისი, 17 მარტი

13 მარტის სხდომაზე პირველად წარსდგა სახ. სათათბიროს წინაშე ახალი მინისტრი ვაჭრობისა და მრეწველობისა ტიმირიაზევი. ეს პირველი გამოსვლა ახალ მინისტრისა, რომელიც ბიუროკრატიულ წრეებში ლიბერალად ითვლება, მით არის საყურადღებო და საინტერესო, რომ მთავრობამ კვლავ წამოაყენა თავისი პროგრამმა მუშათა საკითხის შესახებ. 1905 წლის 9 იანვრის მარადსახსოვარ დღის შემდეგ მთავრობა ყოველ წელიწადს რამდენჯერმე იმეორებს დეკლარაციებს მუშათა საკითხის შესახებ, მაგრამ ნაყოფი ჯერაც არაფერია.

ახალი მინისტრი ფართო პროგრამას აღნიშნავს იმისას, თუ რა განუზრახავს მთავრობას ამ სფერაში. „ყოველი ღონე უნდა ვიღონოთო, ამბობს მინისტრი, მუშათა კლასსის ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად“-ო და აღნიშნავს სხვა და სხვა რეფორმასა და პროექტებს. პირველად იხსენიებს პროექტებს მუშათათვის საექიმო დახმარების საქმის ორგანიზაციისა და მუშათა დაზღვევის შესახებ დაშავებისა და დაავადმყოფებისაგან, რომელნიც უკვე წარედგინათ სათათბიროსაო. მართალია, ამ პროექტებს იწუნებთო, დასძინა მინისტრმა, მაგრამ სათათბიროს მოვალეობაა მათი ნაკლი შეასწოროს და შეავსოსო. შემდეგ ტიმირიაზევი აღნუსხავს მთელ რიგს პროექტებისას, რომელნიც, მისის აზრით, საჭიროა მუშათა საქმის კანონმდებლობის განსავითარებლად. პირველად იხსენიებს მართლა და უსაჭიროეს რეფორმას: მუშათა დაზღვევას შრომის უნარის დაკარგვისა და სიბერისაგან; ამ რეფორმისთვის საჭირო ხარჯში მთავარი მონაწილეობა სახელმწიფომ უნდა იკისროსო. შემდეგ, აუცილებლად საჭიროაო ფაბრიკებსა და ქარხნებში სამუშაო დღის ნორმის გაწესრიგება თანახმად თანამედროვე პირობებისა და მოთხოვნილებისა. მორიგ საქმედ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე მუშათათვის ბინების გაჩენა-მოწყობა და შრომის გარეგან პირობათა გაუმჯობესებაო; უნდა გადასინჯულ და გაუმჯობესებულ იქმნან აწ დაძველებული და უვარგისი წესები მუშათა დაქირავების შესახებაო; აგრეთვე აუცილებელია საფაბრიკო ინსპექციის გაფართოვება, საკანონმდებლო გაწესრიგება მრეწველთა და მუშათა ურთიერთობისა და სხვა. ბოლოს მინისტრი მუშათა კავშირებსაც ეხება და ამბობს: „ყველა აღნიშნულ განზრახვის წესიერად და ნაყოფიერად ასრულებისათვის საჭიროა თვით მუშათა კლასის შეგნებული დახმარება და მონაწილეობა. ამ მხრით კარგ სამსახურს გაუწევენ საქმეს მუშათა კოოპერატიული ორგანიზაციები, თუ, რასაკვირველია, ეს ორგანიზაციები მისაწდომ და რეალურ მიზანს დაისახავენ და თავიანთ ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს ემსახურებიან მარტოოდენ. ამ პირობებში მუშათა კავშირები თანაგრძნობასა და დახმარებას მიიღებენ სახელმწიფოსაგან..“

როგორც ხედავთ, პროგრამა, თუმცა შორსაა იდეალისაგან და თანამედროვე მოთხოვნილება-შეძლებისაგანაც, მაგრამ არც ისე მცირე და უმნიშვნელოა. დღევანდელ მთავრობის უბედურება ისაა მხოლოდ, რომ ამის ასრულებაც-კი ვერ მოუხერხებია. როგორც ამ ოთხი წლის წინად ამბობდა მთავრობა—ყველაფერი ეს მორიგ საქმედ გვაქვს მიჩნეული და დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეთ პროგრამის განხორციელებასაო, ისე ეხლაც ტიმირიაზევი მოწმობს, რომ „დაუყონებლივ უნდა დაივიწყოთ ამ საქმის, ამ განზრახვათა სისრულეში მოყვანაო“: მართალია, მოფიქრებული თანდათანობა საჭიროა, მაგრამ საქმის დაწყების გადადება შეუძლებელიაო... „არ ახალია, ძველია“: ოთხი წელიწადია მთავრობა ამასვე იმეორებს ყველგან და ყოველთვის, სადაც და როდესაც შემთხვევა ნებას აძლევს, მაგრამ ჯერ არა თუ „სისრულეში მოყვანა“, პროექტებიც არაა დამზადებული ორის გარდა. უკანასკნელ ორის წლის განმავლობაში მთავრობამ ძლივს მოახერხა ორის კანონპროექტის შემუშავება—მუშათა დაზღვევა დაშავებისაგან და მათთვის საექიმო დახმარების მიწოდება. ბევრის შესწორება-გადასინჯვის შემდეგ, დიდის ყოყმანისა და გადადების შემდეგ ეს ორი პროექტი როგორც იქნა წარედგინა სათათბიროს, მაგრამ ახლა იქა დევს ეს პროექტები უძრავად წარსულ შემოდგომიდან...

ყოველივე ეს საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ახალ მინისტრის დაპირებასაც ამგვარივე ბედი მოელის და მუშათა საკითხში რუსეთის ბიუროკრატია წინანდებურად ერთ ფეხსაც ვერ გადასდგავს წინ. მისდა საბედნიეროდ სათათბიროც იმგვარივე ჰყავს, რომელიც თითქმის მასზე ნაკლებ მოიცლის ამ საქმისათვის, რიდგან მისი უმრავლესობა მთავრობაზე უფრო მარჯვნივაც-კი სდგას ამ საკითხში. რიხიანი დეკლარაციები, თუნდ „ლიბერალ“ მინისტრისაგან გამოთქმულნი, ცარიელ სიტყვად დარჩება იმ დრომდე, სანამ საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობა არ გამოიცვლება და რუსეთის ყოველმხრივი განახლება რეალურ საქმედ არ გადაიქცევა.

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

ვაჭრობის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა.

მეოთხმოცე სხდომაზე სათათბირომ განაგრძო ვაჭრობის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.

პოკროვსკი მეორე (ს.-დემოკრ.). უმთავრესად მუშათა საკითხს შეეხო. პროლეტარიატის წარმომადგენელნი სათათბიროში არ ით მაშვებენ კრიტიკის უფლების რაოდენ და მთავრობის და ცენტრის ტკბილ სიტყვების მაგიერ მხოლოდ ამას იტყვიან: „ღმერთმა გვაშო-

რის სამშ მეგობრებს, თორემ მტერს ჩვენ თვითონ გაუსწორდებით". მუშის შრომის დაცვის საქმეში ეხლანდელ მთავრობას არა გაუკეთებია-რა, დაპირების მეტი, რომელსაც უოველ წეის იგიწყებს. მუშათა საკითხში მთავრობის მოქმედება მარტო იმაში გამოიხატება, რომ იგი ხელს უწყობდა და აერთებდა მუშების წინააღმდეგ მომქმედ ორგანიზაციებს, ახალ მინისტრის დანიშვნით მთავრობის პოლიტიკა არ შეიცვლება. მესამე სათათბიროს და იმის უმრავლესობას საკუთარი პოლიტიკა და პოლიტიკური პროგრამა არა აქვთ. ამ სათათბიროს მიზანს შეადგენს ხელის შეწყობა მთავრობის პოლიტიკისთვის, ამასთან ეს პოლიტიკა პოლიტიკაა ხალხის დამშვიდებისა და რეფორმებისა. მუშების განთავისუფლება მუშა კლასის საქმეა და მუშა კლასი არასოდეს არ მიიღებს მრეწველთა გამოწვდილ ხელს, რადგან კარგად იცის, რომ ამ ხელში ქვა არის. თავის მ ქალაქობრივ უფლებას მუშათა კლასი მესამე სათათბიროს შემწეობით ვერ განახორციელებს: ამისათვის მას ერთად-ერთი გზა აქვს—საყოველთაო საარჩევნო უფლება და დამფუძნებელი კრება (ტაში მარცხნივ).

**ბერეზოვსკიმ** (მემარჯვენე) რუსეთში ახალი სინდიკატი აღმოაჩინა. სინდიკატად ბერეზოვსკიმ ებრაელები მონათლა, რომელთაგანაც მთელი რუსეთი იღუპებათ. ამ სიტყვებს მემარჯვენენი, რა თქმა უნდა, სიხარულით მიეგებნენ.

სათათბირომ უარ-ჰყო ს.-დემოკრატთა ფორმულა. მარკოვმა მეორემ წაიკითხა მემარჯვენეთა შემდეგი ფორმულა: „სათათბირო სურვილს აცხადებს, სამინისტრომ დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები რუსის ხალხის დასაცველად მსოფლიო სინდიკატის ექსპლოატაციისაგან, იმ სინდიკატისა, რომელსაც სახელად „ებრაელთა ხროვა ეწოდება". სათათბირომ უარ-ჰყო ეს სურვილი. პურიშკევიჩმა ამ დროს თავის ადგილიდან შეუკურთხა დეპუტატებს: „არამზადებო, ებრაელთა შაბესგოებო!"-ო.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)
16 მარტი

## ბალკანეთი.

**ბერლინი.** ვენიდან „ფოსსი შეცეიტუნგს" ატყობინებენ: მინიმალური მოთხოვნილებანი, რომელიც ავსტრო-ჰუნგრეთმა სერბიას უნდა წარუდგინოს, შემდეგია: სერბიამ იმდენი ჯარი უნდა იყოლიოს მხოლოდ, რამდენიც 1908 წლის პირველ იანვარს ჰყავდა; უნდა განდევნოს მებრძოლი რაზმები ბოსნიის საზღვრიდან; ხელი უნდა აიღოს ბოსნიისა და ჰერცოგოვინის რაიმე საქმეში ჩარევაზე და ვენაში ავსტრიის მთავრობას უნდა განუცხადოს, რომ ამიერიდან იგი კარგ მეზობლურ ურთი-ერთობას იქონიებს ავსტრო-ჰუნგრეთთან.

**ვენა.** „ფრემდენბლატტი" სწერს: ავსტრიამ აცნობა ინგლისს ის მინიმალური მოთხოვნილებანი, რომელიც, ავსტრიის აზრით, სერბიამ უნდა მიიღოს. ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრმა ამაზე შეუთვალა ავსტრიას, პასუხს კვირას მოგცემთო. თუ ინგლისმა ავსტრიის მოთხოვნილებანი სამართლიანად სცნო, სერბიამ ამ აზრის შესაფერი განცხადება უნდა წარუდგინოს ავსტრიას. იმედი გვაქვს, რომ ინგლისი ამ საქმეში ავსტრიის მთავრობის აზრს დაადგება.

„ნოიე-ფრეიე-პრესსე" სწერდა: რუსეთსა და ავსტრიას მოლაპარაკება აქვთ მიურშტეგის შეთანხმების განახლების შესახებაო. ეს ამბავი ყოველსავე საფუძველს მოკლებულია.

**ვენა.** დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონ-პროექტი, რომლითაც მთავრობას ევალება, დასდოს დროებითი სავაჭრო ხელშეკრულებანი ბოლგარიისა, მექსიკასა და სხვა სახელმწიფოებთან. კამათის დროს ვაჭრობის მინისტრმა განაცხადა: ჯერ ვერ ვიტყვი, რას დაუთმობთ სერბიას, მაგრამ განზრახული-კია ეკონომიურ საქმეში დაუთმოთ ისეთი რამ, რაც, საზოგადოდ, სავაჭრო ხელშეკრულებებში არ არის ხოლმეო დეპუტატმა დრეკსტელმა სთქვა: მშვიდობიანობის დაცვა მარტო სოციალისტებს არა სურთ, ამისი მოსურნეა ყველა პარტია. ავსტრიამ არაფერი დაიშურა მშვიდობიანობისთვის, მაგრამ ყველას უნდა ახსოვდეს, რომ სახელი და უფლებანი ავსტრო-ჰუნგრეთისა ხელშეუხებელი უნდა იყოსო. ორატორმა უსაყვედურა სოციალისტებს—ისინი განსაცდელის დროს მხარს უჭერდნენ სერბიას და უსამართლო კრიტიკით ჰკიცხავდნენ ბოსნიის ადმინისტრაციას და ავსტრიის საგარეო პოლიტიკასო. ავიწყდებათ, რომ ავსტრო-ჰუნგრეთი ამ ბოლო დროს ლმობიერად ექცევა სერბიასო... დასასრულ ორატორმა იმედი გამოსთქვა, რომ თუ ავსტრო-ჰუნგრეთს რაიმე განსაცდელი დაადგება, ჩვენი ქვეყნის პარტიები და ხალხები ერთსულოვანად მოიქცევიანო.

**ბერლინი.** „ფოსსიშე-ცეიტუნგს" ვენიდან ატყობინებენ: ავსტრო-ჰუნგრეთსა და ოსმალეთს ჯერ არ დაუდვიათ ფორმალური ხელშეკრულება იმის შესახებ, რომ ნოვო-ბაზარის სანჯაყი უზრუნველყოფილ იქმნას გარეშე სახელმწიფოს შესევისა და დაპყრობისაგან. ავსტრო-ჰუნგრეთის მთავრობასა სურს ხელშეკრულებაში აღინიშნოს მხოლოდ ის, რომ ამ სანჯაყში ორივე სახელმწიფოს ინტერესები აქვთ და რომ ისინი მზად არიან გარეშეს დაცემის დროს დაიცვან სანჯაყი. ოსმალეთს-კი უნდა, ავსტრო-ჰუნგრეთმა აშკარა პირობა მისცეს, რომ საჭიროების დროს ჯარს მიაშველებს ოსმალეთს. ავსტრო-ჰუნგრეთმა რომ ასეთი პირობა მისცეს, ამით დაიმედებულ ოსმალეთისთვის საჭირო აღარ იქნება ჯარი იყოლიოს ნოვობაზარის სანჯაყში. ავსტრიელი დიპლომატები ფიქრობენ, რომ ოსმალები ბოლოს თანახმანი გახდებიან ავსტრიის აზრისა ამ საქმეში.

„ლოკალ-ანცეიგერს" ატყობინებენ, რომ ერც-ჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი სამხრეთ ჰუნგრეთში წავიდაო. ვენაში ამ მგზავრობას ძალიან დიდ მნიშვნელობას აძლევენ, რადგან ტახტის მემკვიდრე ფრანც-ფერდინანდი პეტერვარდეინისკენ წავიდა, ეს ადგილი-კი დანიშნულია ჯარის მთავარ ბინად იმ შემთხვევისთვის, თუ ომი დაიწყო.

**ვენა.** საბოლოოდ შემუშავდა ინგლის-ავსტრიის ფორმულის შინაარსი სერბიის საკითხის შესახებ.

**ვენა.** „კორესპონდენტ-ბიუროს" ბელგრადიდან ატყობინებენ: როგორც ისმის, ხვალ სერბიის სამხედრო მინისტრი გამოსცემს ბრძანებას; ამ ბრძანებით დაითხოვენ იმ სათადარიგო ჯარის-კაცებს, რომელნიც დღეს ყაზარმებში არიან და რომელთა რაოდენობაც აღემატება მშვიდობიანობის დროისთვის დანიშნულ რიცხვს.

**ლონდონი.** როგორც რეიტერს გაუგია, დიპლომატიურ წრეებში ისეთის პესიმისტურის თვალით აღარ უყურებენ სერბიის საკითხს, როგორც აქამდე. ყველას ყურადღება ახლა ინგლისისა და ავსტრო-ჰუნგრეთის მოლაპარაკება იქცევს. ტელეგრაფი ლონდონსა და ვენის შორის განუწყვეტლივ მუშაობს.

რეიტერის სააგენტოს დავალებული აქვს გამოაცხადოს, რომ ინგლისისა და ავსტრიის მთავრობებს შორის თვალსაჩინო უთანხმოება აღარ არის იმ ფორმულის გამო, რომელიც სერბიას უნდა წარედგინოს. ფიქრობენ, რომ ავსტრია-სერბიის კონფლიქტის გადაწყვეტის შემდეგ, ინგლისი და საფრანგეთი მიემხრობიან რუსეთის აზრს ანექსიის საკითხში. საქმე ორიოდე დღეში გათავდება. რუსეთი და საფრანგეთიც თანახმანი არიან ინგლისის ფორმულისა.

**ვენა.** პალატაში სოციალისტების წინადადების განხილვის დროს (ამ წინადადებით მთავრობას ევალება, ეცადოს მშვიდობიანობა დაიცვას). ავსტრიის მინისტ-პრეზიდენტმა ბინერტმა სიტყვა წარმოსთქვა. მან განაცხადა: ჩვენ ყოველთვის იმას ვცდილობდით, რომ მშვიდობიანობა დაგვეცვა. ავსტრო-ჰუნგრეთმა გულდასმით განიხილა სერბიის მთავრობის მოთხოვნილებანი და დარწმუნდა, რომ ავსტრიას არაფრით არ დაურღვევია სერბიის უფლებანი. ავსტრო-ჰუნგრეთმა დიდი სულგრძელობა გამოიჩინა. ათასი ინტრიგა გაიმართა ჩვენ წინააღმდეგ. მაგრამ ყურადღებას არაფერს ვაქცევდით და მხოლოდ ჩვენ ძალას ვემყარებოდით. მაგრამ სულგრძელობასაც, მით უმეტეს დიდ სახელმწიფოს სულგრძელობას თავისი საზღვარი აქვს. ჩვენ მშვიდობიანობისთვის არაფერს დავიშურებთ, მაგრამ, თუ ჩვენის სურვილის წინააღმდეგ, იძულებულნი ვიქნებით მივმართოთ ავსტრიის ხალხების პატრიოტიზმს, იმედი გვაქვს, რომ ასეთ მოწოდებას პალატა აღტაცებით მიეგებებაო. პალატამ დიდის ხმის უმრავლესობით მიიღო ებენგორის შესწორება, რომლითაც მთავრობას დაევალა განაგრძოს მეცადინეობა მშვიდობიანობის დასაცველად. პალატამ თანაგრძნობა გამოუცხადა იმ სალდათებს, რომელნიც ავსტრიის საზღვრებზე მსახურებენ. პალატის სესსია, აღდგომის დღესასწაულებისა გამო, დროებით შესწყდა.

**ვენა.** გაზეთ „ცეიტ"-ში დაბეჭდილია ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრის ერენტალის ნალაპარაკევი. ერენტალს უთქვამს, რომ რუსეთმა მიიღო ავსტრო-ჰუნგრეთისა და გერმანიის აზრი ანექსიის საკითხის გადასაწყვეტად; რაც შეეხება სერბიას, სახელმწიფონი სანახევროდ თითქმის შეთანხმდნენ იმაზე, თუ რა საერთო წინადადებით უნდა მიმართონ სერბიასაო.

**სოფია.** ბოლგარიის მინისტრები პაპრიკოვი და სალაბაშევი პეტერბურგს წავიდნენ.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს სიტყვით, სრული იმედი, რომ 15—16 მარტს რიგიანად გადასწყდება ყველა ის საკითხი, რომელიც ბალკანეთის კრიზის ხელს უწყობდა, არის საფუძველი, წინდაწინვე ვიფიქროთ, რომ ოთხივე სახელმწიფო შეთანხმდა ერთად სამოქმედოდ რომ ბალკანეთის კრიზისი უომრად გადასწყვიტოს, ან ისეთი გარემოება შექმნას, რომ მოდავეთა შეთანხმება ადვილი შესაძლებელი გახდეს.

**ბელგრადი.** ბოლგარიის მეფის თავჯდომარეობით მოხდა მინისტრთა საბჭოს კრება. კრებას დაესწრნენ სახელმწიფო საბჭოს, საკასაციო სასამართლოს და საკონტროლო პალატის პრეზიდენტები. მემკვიდრემ გიორგიმ განაცხადა, მემკვიდრეობაზე უარს ვამბობო და ამის შესახებ განაჩენს ხელი მოაწერა. განაჩენს ყველა დამსწრემაც მოაწერა ხელი. კრება ერთხელ კიდევ შეეკითხა მემკვიდრეს, მაგრამ მან სთქვა, გადაჭრით უარს ვამბობო. კრებამ დაადგინა, ეს საქმე შეატყობინოს სკუპშჩინას. ამის შემდეგ მემკვიდრედ გამოაცხადებენ მეფის მეორე ვაჟს ალექსანდრეს.

**ბერლინი.** „ნორდ დოიტშე-ალგემეინე-ცაიტუნგი" სწერს: ავსტრიასა და სერბიას შორის ატეხილ დავას არავითარი კავშირი არა აქვს ბოსნია-ჰერცოგოვინას შეერთებასთან. ამ ორ მოვლენის ერთმანეთთან დაკავშირება მარტო დიდი-სერბიის პარტიამ აღიარა. ამით მას უნდოდა თავის საბოლოო მიზნისთვის მიეღწია. ამ ჟამად საერთაშორისო მდგომარეობა გამორკვეულია და სერბიის მთავრობამ ბოლო უნდა მოუღოს დავას. სერბიას ამის შემთხვევაც ეძლევა. ეს შემთხვევა სახელმწიფოების ახალი საერთო ნოტააო.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს სარწმუნო წყაროდან გაუგია, რომ სახელმწიფოების მოლაპარაკება სერბიის განცხადების შესახებ შემდეგის შეთანხმებით დამთავრებულა: განზრახულია, რომ სერბიის მთავრობა ავსტრიას წარუდგენს განცხადებას, როგორც სერბიის მთავრობას პირველ მარტის ცირკულიარის დამატებას. სახელმწიფოებს უკვე შესაფერი ინსტრუქციები გაუგზავნიათ სერბიაში. ინსტრუქციების გაგზავნას აზრად ის აქვს, რომ ავსტრიამ ულტიმატუმი არ წარუდგინოს სერბიას და ამით საქმე უფრო არ გაამწვავოს.

**ვენა.** „კორესპონდენტ-ბიუროს" სწერენ: სახელმწიფოები 16 მარტს თავიანთ წარმომადგენლებს დაავალებენ, რომ სერბიას ურჩიონ, ხელი მოაწეროს სახელმწიფოების მიერ შემუშავებულ განცხადებას და ავსტრიას გაუგზავნოს, როგორც პირველ მარტის ცირკულიარის დამატება. ამასთანავე სახელმწიფოები შეთანხმდნენ, გააუქმონ ბერლინის ტრაქტატის მე-25 მუხლი.

## სპარსეთი

**ასტრაბადი.** ყოფილი კორესპონდენტი პანოვი 50 კავკასიელ და ადერბეიჯანელ რევოლიუციონერებით ბენდერ-გიაზში გადავიდა, ასტრაბადის ნავთ-სადგურებში და ქალ. ასტრაბადს წავიდა. მეორე რაზმი რევოლიუციონერებისა ბარფრუშში მივიდა. რევოლიუციონერები ყველგან ტელეგრაფს აფუჭებენ და ხალხს აჯანყებენ. ასტრაბადში ხალხმა დაიტაცა თოფები, რომელიც თოფ-ხანაში ინახებოდა. თურქესტანის ველში დიდი მითქმა-მოთქმაა, მძარცველობა და მკვლელობებია.

**თავრიზი.** სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ 14 მარტს მოედანზე გამართა დიდი მიტინგი. ცხარე სიტყვების შემდეგ შეკრებილმა ხალხმა ქართველების მეთაურობით და წითელის დროშებით ქუჩებში გაიარა, თან იძახდა: „გაუმარჯოს კონსტიტუციას! გაუმარჯოს ახალგაზდა სპარსეთსაო"!.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს თეირანიდან ატყობინებენ: შაჰ-აბდულ-აზიმის ბესტში თავშეფარებულთა ამოჟღეტამ ძალიან დააფიქრა ის სპარსელები, რომელთაც თავი ოსმალეთის საელჩოს შეაფარეს. შიშობენ, ვაი თუ აქაც შემოგვივარდნენ და ამოგვჟლიტონო. ოსმალეთის ელჩმა დეპეშით სთხოვა ოსმალეთის მთავრობას, მზად იყოლიოს ჯარი თეირანში გასალაშქრებლად იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა საელჩოს დაცვა იქნება საჭირო.

**თეირანი.** რევოლიუციონერების მეთაურმა, ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა, სანიუდ-დოვლემ ინგლისის საელჩოს შეაფარა თავი, რადგან ხმა გავრცელდა, რეაქციონერებმა მისი მოკვლა განიზრახესო.

## ოსმალეთი

**სტამბოლი.** დეპუტატთა პალატამ მოისმინა მთავრობის წინადადება იმის შესახებ, რომ პალატამ დააჩქაროს განხილვა. ბეჭდვითი სიტყვის კანონ-პროექტისა. ეს დაჩქარება გამოიწვია იმან, რომ—ზოგიერთი გაზეთები ეროვნულ შუღლსა და მტრობას სთესენ. პალატაში წაიკითხეს რეზოლიუცია მიტინგისა, რომელმაც პროტესტი განაცხადა ბერძნულ გაზეთების „ნეოლოგოსის", „პროდოსის" და „ლევანტის" წინააღმდეგ. ბერძენმა დეპუტატებმა პალატაში თავის მხრივ პროტესტი განაცხადეს ბერძნულ პრესის წინააღმდეგ ამხედრების გამო. ახალგაზდა ოსმალებმა ბრალი დასდეს ბერძნულ პრესსას, ჯარს უკადრისად ეპყრობაო. ცხარე კამათის შემდეგ, პალატამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც მთავრობას დაევალა მიიღოს სასტიკი ზომები პრესის წინააღმდეგ, თანახმად აწ არსებულ კანონებისა.

## საზღვარ-გარედ.

**ლისაბონი.** დეპუტატთა პალატის სხდომამ არა-ჩვეულებრივად ჩაიარა. ოპოზიციამ მოითხოვა, ფინანსთა მინისტრის მოქმედება გამოძიებულ იქმნას; მერე ასტეხა ყვირილი, დაამტვრია სტოლები. ამის გამო სხდომა შესწყდა. სხდომის განახლების შემდეგ ოპოზიციამ ყვირილი განაახლა. სხდომა ხელმეორედ შესწყდა.

**პარიზი.** ფოსტის მოხელეთა დელეგატებმა აცნობეს მინისტრს ბარტუს, რომ სიმიანის საწინააღმდეგო პროკლამაციის გამოცემა კრებაზე გადავწყვიტეთ მანამდე, სანამ მუშაობას შევუდექით, პროკლამაციაც მაშინვე შევიმუშავეთო. დელეგატებმა განაცხადეს, დისციპლინას და ჩვენ მოვალეობას ავასრულებთო. კლემანსომ და ბარტუმ გადასწყვიტეს აღარ მოახდინონ გამოძიება პროკლამაციის შესახებ. ფიქრობენ, რომ გაფიცვის საქმე ამით გათავდება.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. სოციალისტი რუანე შეეკითხა მთავრობას საფოსტო მოხელეთა გაფიცვის კომიტეტის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. მან სთქვა: ფოსტისა და ტელეგრაფის უფროსის სიმიანის წინააღმდეგ გამოცემულ პროკლამაციას კავშირი აქვს გაფიცვასთან, ხოლო ამ გაფიცვის შესახებ მთავრობამ გადასწყვიტა არავინ დასაჯოსო. საზოგადო სამუშაოთა მინისტრმა ბარტუმ სთქვა: მართალია, მთავრობამ სიტყვა მისცა, გაფიცვისთვის არავინ დასაჯოს, მაგრამ ხსენებული შეურაცხმყოფელი პროკლამაცია გამოვიდა მუშაობის განახლების მეორე დღეს, ესე იგი გაფიცვის გათავების შემდეგაო. მინისტრ-პრეზიდენტმა კლემანსომ დააყენა საკითხი მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების შესახებ. მან განაცხადა: მართალია, პროკლამაციას კავშირი აქვს გაფიცვასთან, მაგრამ მთავრობას არ შეუძლიან ნება მისცეს საფოსტო მოხელეებს, მუშაობის განახლების შემდეგ განაცხადონ—სიმიანს ჩვენს უფროსად არა ვცნობთო. მთავრობა რომელიც ამის ნებას დართავს, მოღალატე იქნება პალატის წინაშეო. პალატამ მიიღო შენეს ფორმულა. ამ ფორმულის პირველ ნაწილში ნათქვამია, რომ პალატამ გადასწყვიტა გამოსცეს მოხელეთათვის წესდება სამსახურის შესახებ; მეორე ნაწილში პალატამ ფორმალურად უარჰყო გაფიცვის უფლება. კლემანსომ სთქვა: მოვალეობა მაკისრებს დავიცვა მთავრობის უფლება, მაგრამ გულში-კი მოწადინებული ვარ საქმე მორიგებით გათავდეს, ამიტომ იმედი მაქვს, პალატა დამეხმარება და საყოველთაო გაფიცვისთვის არავის წააქეზებსო. პალატამ (341 ხმით 247 ხმის წინააღმდეგ) მიიღო ფორმულის მესამე ნაწილიც, რომლითაც მთავრობას ნდობა გამოეცხადა.

## რუსეთი

**პეტერბურგი.** პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა 500 მანეთით დააჯარიმა „სოვრემ. სლოვოს" რედაქტორი მიზეზი წერილი იყო, რომელიც „მოსკოვის ამბების" სათაურით დაიბეჭდა.

**ეკატერინოსლავი** საოცარი წყალდიდობაა. დიდი ზარალია. წყალ ქვეშ მოჰყვა: ალექსანდროვსკის მაზრაში 200 სახლი, მარიუპოლისაში —155, ნოვომოსკოვისაში—855, პავლოგრადისაში—უფრო მეტი. დაიღუპა პირუტყვისა და ქონების ნაწილი.

**ვიბორგი** (ფინლიანდია). ფრიდრიხსგამის საფოსტო კანტორიდან გაიტაცეს ფული—30,000 მარკა, ფასიანი ამანათები და საფოსტო მარკები. ექვსით შეიპყრეს ფოსტალიონი კოკკონენი.

**ვარშავა.** 12 მარტს მდინარე ვისლამ გაარღვია კედელი და დიდი ზარალი მიაყენა კოზენიცკის მაზრის მცხოვრებთ. წყალმა 12 სოფელი წალეკა. დაიხრჩო 24 კაცი და მრავალი პირუტყვი. წყალი კლებულობს.

**პეტერბურგი.** სინოდმა საეპარქიო ეპისკოპოსების ანგარიშებიდან (ანგარიშები 1907 წელს შეხებოდა) დაინახა, რომ სასულიერო სემინარიებსა და სასწავლებლებში სწავლა-აღზრდის საქმე დაცემულა და რომ მოსწავლენი ხალისით აღარ ეკიდებიან სარწმუნოების მეტყველო საგნებს. სინოდმა ამ მოვლენათა თავიდან ასაცდენად სხვა და სხვა განკარგულება მოახდინა.

სინოდმა დაადგინა, იმ მასწავლებელ ქალებს, რომელნიც სამრევლო-საეკლესიო სკოლებიდან სასულიერო უწყების ქალთა სასწავლებლებში გადადიან, სამსახურში ჩაეთვალოთ (ჯამაგირისა მომატებისა და პენსიის საქმეში) ის დრო, რომელიც ზემოხსენებულ სკოლებში გაუტარებიათ.

**პეტერბურგი.** მთავრობამ სამხედრო-საზღვაო სასამართლომ [illegible] [illegible].

**მოგილევში.** მდინარე დნეპრი საოცრად მოდიდდა. წყალი დღითი-დღე მატულობს. წყალმა დაჰფარა დაბალი ადგილები.

**კიშინევი.** აკკერმანის ქალაქის საბჭომ სახელმწიფო სათათბიროს წევრი პურიშკევიჩი ერთხმად აირჩია აკკერმანის საპატიო მოქალაქედ.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს შეკითხვათა კომისიამ მიიღო შეკითხვა ვიატკის გუბერნიის ორ მაზრის პოლიციის უკანონო მოქმედებათა შესახებ.

იმავე სათათბიროს მუშათა საკითხის კომისია შეუდგა მუშების დაზღვევის შესახებ კანონ-პროექტის განხილვას.

**სარატოვი.** სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ბალაშოვის მაზრის 32 გლეხისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ 1906 წელს უწესობის ჩადენა და პოლიციელებისა და ჯარისთვის წინააღმდეგობის აღმოჩენა. უწესობა დაიწყო იმით, რომ გლეხები საერთოდ შეესივნენ სათათბიროს წევრის ნიკოლოზ ლვოვის ტყეს და გასჩეხეს იგი. 3000 კაცმა ქვებითა და კეტებით წინააღმდეგობა გაუწია პოლიციას, დააშავა ბოქაული და სამი ყაზახი. 22 ბრალდებულს მიუსაჯეს პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, 7 გაამართლეს, სხვების შესახებ სასამართლომ საქმე გადასდო.

**პეტერბურგი.** დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 3 კაცი; არავინ გარდაიცვალა.

**ოდესსა.** შეიპყრეს სამი მძარცველი, რომელთაც ყუმბარა შეაგდეს სვირსკის ხლის მაღაზიაში. ბოროტმოქმედები იცნეს.

**ტვერი.** სამოსამართლო პალატამ წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით გაარჩია საქმე პოლიცმეისტერად ნამყოფის კირეევსკისა, რომელსაც ჰბრალდებოდა უმოქმედობის გამოჩენა, რის შედეგიც საგუბერნიო საეროზო სამმართველოს აკლება იყო. პალატამ ბრალდებული გაამართლა.

**მოსკოვი.** დასრულდა სრულიად რუსეთის რეჟისორთა კრება. გამოიტანეს სხვა და სხვა რეზოლიუცია: უნდა დაარსდეს სატახტო ქალაქებში რეჟისორთა კურსები, უნდა გაუმჯობესდეს სახალხო თეატრის საქმე, უნდა განთავისუფლდეს თეატრი განსაკუთრებულ ცენზურისაგან. სასურველად იცნეს მჭიდრო კავშირის დამყარება, როგორც თეატრში მომუშავეთა შორის, ისე თეატრის კრიტიკოსებთან. დაადგინეს, რომ სათეატრო სკოლები ფართო პრინციპიალურ საფუძველზე იყოს დამყარებული.

# ომის მოლოდინში

### ავსტრიის სამზადისი მზადება.

ავსტრიის მთავრობა დიდ სამზადისმზადებაშია დღემდე.

მდ. დუნაის ნაპირზე ბელგრადის პირდაპირ ავსტრიელებმა დადგეს საალყე ზარბაზნები. ხიდებისთვის უკვე დაამზადეს მასალა.

ბოსნიაში გამოაცხადეს საალყე წესები.

ბუდაპეშტში დიდ ძალი ჯარი მოდის სერბიის საზღვარზე გასაგზავნად. ყოველ დღე 20 ათას ჯარის კაცამდე გაივლის ხოლმე ამ ქალაქზე.

რუსეთის საზღვარზე, გალიციაშიაც მრავალი ჯარი გაგზავნეს.

12 მარტს ღამით იმპერატორი ფრანც-იოსები ეთათბირა თავის მემკვიდრეს ფრანც-ფერდინანდს და როგორც ირწმუნებიან, მშვიდობიანობის მომხრე მოხუცებული იმპერატორი დაეთანხმა ომის ბეჯით მომხრე მემკვიდრეს.

### რა მოითხოვა ავსტრიამ.

ავსტრიის მთავრობამ მოითხოვა, რომ სერბიამ დაუყონებლივ იარაღი აიყაროს. ბოსნია-ჰერცოგოვინაზე ხმა აღარ ამოიღოს და ბალკანეთის პოლიტიკაში აღარ ჩაერიოს, წინა-

ალმდეგ შემთხვევაში აუცილებლად ჯარს შევიყვან სერბიაში.

**მორიგების იმედი.**

„ნაშა გაზეტა“-ს კორესპონდენტი ამფიტეატროვი იუწყება ბელგრადიდან 10 მარტის თარიღით:

„საინტერესო საუბარი მქონდა რუსის ელჩ სერგეევთან. დიპლომატები გამარჯვებას ღელესწაულობენ—იმედი აქვთ რომ საქმე მორიგებით გათავდება. სერბიის მთავრობამ ყველაფერში დაუთმო ავსტრიას. სერბიის საზოგადოება გულდაწყვეტილია, სამინისტროს საქმე უჭირს; შესაძლებელია, უწესოება მოხდეს“.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **წვრილ კრედიტის ამხანაგობანი კახეთში.** კახეთში სოფ. აწყურსა, ყვარელსა და ძველ გავაზში წვრილი კრედიტის ამხანაგობანი დაუარსებიათ. გლეხობა პირველად ძალიან ეჭვის თვალით მოეკიდა თურმე ამ საქმეს, მაგრამ შემდეგ, როცა დაწვრილებით გაუგიათ საქმის ვითარება, დათანხმებულან. ყვარელში ლაპარაკი ჰქონიათ იმაზე, რომ ნაწილი ფულისა, რომელსაც სახელმწიფო ბანკიდან მიიღებენ სესხად ძირითად თანხისთვის, გადასდონ გოგირდისა და შაბიამანის გამოსაწერად კავკასიის სამეურნეო საზოგადოებიდან.

✦ **„აბხაზური ან-ბანი“.** როგორც გადმოგვცეს, სამოსწავლო უწყების საფასით ახლო მომავალში გამოვა აბხაზთათვის შედგენილი „ანბანი“ (რუსულის ასოებით).

✦ **სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებანი.** ტფ. სომეხ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება ძალიან მხნედ მოქმედებს თურმე, როგორც ეს 15 მარტის კრებაზედ გამოირკვა. კრებამ დაამტკიცა წინა წლის ანგარიში და მიმდინარე წლის აღრიცხვა. წელს საზოგადოება შემოსავალს მოელის 7872 მან. 68 კაპ. კრებამ თათბირი იქონია საზოგადოების მოქმედების გაფართოების შესახებ და კიდეც შეიტანა შესაფერი ცვლილებანი წესდებაში. კრებამ გამგეობას დაავალა, შეიძინოს საკუთარი შენობა. ამ საქმისათვის 25,000 მანეთი ჰქონიათ. უფრო მეტის მხნეობით მოქმედებს კავკასიის სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოება. ხუდადოვის მიერ ნაჩუქარი სახლი აბას-აბათის მოედანზე გამგეობამ გადააკეთა თავის სადგომად.

✦ **ხონის გიმნაზია.** როგორც ვიცით, ხონში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ააგეს შენობა და დაარსეს გიმნაზია. მომავალ სამოსწავლო წელს ამ გიმნაზიაში გაიხსნება მესამე გიმნაზიური კლასი. რადგან სწავლის ფასი და ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ გადადებული ფული საკმაო არ არის გიმნაზიის შესანახად, ამიტომ ტფილისში ჩამოვიდა აღნიშნულ გიმნაზიის მზრუნველი ბ-ნი ივ. შარაშიძე და შუამდგომლობა აღძრა სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე, ხაზინიდან 6000 მანეთის გადადების შესახებ. ასეთი დახმარება გაუწია მთავრობამ სოჭის კერძო გიმნაზიას, ამიტომ ხონელებსაც იმედი აქვთ, რომ ფულს მიიღებენ.

✦ **მეორე საკრედიტო საზოგადოება.** 15 მარტს მოხდა წლიური კრება ტფ. მეორე საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებისა. კრებამ დაამტკიცა წასული წლის ანგარიში. საზოგადოებას წმინდა შემოსავალი დარჩენია 141 მან. 31 კაპ. ქრ. ვერმიშევის ნაცვლად გამგეობის წევრად ამოირჩიეს ბ-ნი მელქუმოვი, ხოლო საბჭოს წევრებად ათაბეგოვი, ა. ენფიაჯიანცი და გიულბეგიანი.

✦ **გრ. რობაქიძის ლექცია ქუთაისში.** დღეს, 17 მარტს, ბ-ნი რობაქიძე ქუთაისის ქალაქის თეატრში წაიკითხავს ქართულად თავის მეტად საინტერესო ლექციას პოეტის ვაჟა-ფშაველას შესახებ. რობაქიძის ლექციებს ქუთაისში ურიცხვი ხალხი ესწრება და, რასაკვირველია, ეს ლექციაც დიდს ხალხს მიიზიდავს.

✦ **პეტერსონ-პურიშკევიჩის საქმე.** „ტფ. ლისტ.“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: 13 მარტს სახელმწიფო საბჭოს პირველ დეპარტამენტს გადაეცა პეტერსონ-პურიშკევიჩის საქმეო.

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის თავის განკარგულებით, 23 მარტისთვის დანიშნული ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომა გადაიდო მილის წყლის საქმეთა კრების გამო.

✦ **ხოლერა.** რუსეთის ზოგიერთ ქალაქში ხოლერა ამ ზამთარშიაც კი არ მოსპობილა, ამიტომ შეიძლება ეს სენი წელს მრავალ ადგილს მოედოს. ბევრგან ფიქრობენ მოსწავლენი ადრე დაითხოვონ საზაფხულოდ. ამ დღეებში ტფ. საშუალო სასწავლებლების მშობელთა წრის მთავარმა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა, რომ მოსწავლენი სრულიად განთავისუფლებულ იქმნენ ეგზამენებისაგან.

✦ **შემოწირულება.** ა. პ. სარაჯიშვილმა შესწირა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას თორმეტი თხზულება კავკასიის ისტორიის შესახებ. ამ წიგნებს შორის რამდენიმე ძნელად საშოვნელია.

✦ **გაჩხრეკა და დაპატიმრება.** ანდრეევისა და სადგურის ქუჩებზე და აგრეთვე დიდუბეში გაჩხრეკის დროს 15 მარტს დააპატიმრეს 43 კაცი.

✦ **ნავთ-სადგური გაგრაში.** გაგრაში 14 მარტს შესდგომიან რკინის ნავთსადგურის აგებას.

✦ 14 მარტს, დილის 11 საათზედ, თავის მოსაწამლავად კარბოლის სიმჟავე დაულევია ტატიანა კოლომიეცევს. კოლომიეცევი მიხეილის სავადმყოფოში გრძნობაზე მოიყვანეს.

✦ სიღნაღიდან გვწერენ: ამ ბოლო დროს ძალიან მოუხშირა სიღნაღის ადმინისტრაციამ ხალხის დატუსაღებას იჭერენ და ჩამოჰყავთ ტფ. საგუბერნიო ციხეში.

✦ 15 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზედ, ვიღაც უცნობი უმაწვილი მნაცვანოვის ხიდიდან მტკვარში გადავარდა. უცნობი დაიხრჩო.

✦ პოლიციის პირველ ნაწილში, ამაღლების ქუჩაზე, 15 მარტს, დამის 11 საათზე, მთვრალ ევთიმე ჩიტაშვილს დანით დაუჩრია ტფ. მოქალაქე ნიკოლოზ ტარიელოვი და მეეზოვე ნიკოლოზ სოკოლოვი.

✦ 15 მარტს კახეთის მოედანზე პოლიციამ დააპატიმრეს საავ. პეტრუსოვი, რომელსაც სხვებთან ერთად უნდოდა მოეპარა ნტომარა ფქვილი.

✦ ელისაბედის ქუჩაზე (114 №) მცხოვრებ გადლევსკისთვის ქურდებს მოუპარავთ 449 მანეთის ნივთები.

# სპარსეთის ამბები

**რუს დიპლომატის აზრი სპარსეთის საქმეებზე.**

„რუსკ. სლოვო“-ს კორესპონდენტს 11 მარტს უნახავს ერთი გამოჩენილი რუსი დიპლომატი, რომელიც ამ ახლო ხანებში დაბრუნებულა სპარსეთიდან. დიპლომატს უთქვამს:

„მგონია, რომ ბოლოს და ბოლოს რუსეთი და ინგლისი იძულებულნი იქნებიან ბეჯითად ჩაერივნენ სპარსეთის შინაგან საქმეებში. ადრე თუ გვიან ეს ჩარევა აუცილებელია. შაჰი სრულიად უძლურია და ვერას დროს ვერ მოუღებს ბოლოს ანარქიასა და რევოლიუციონურ მოქმედებას. სპარსეთის საქმე იმნაირად მიდის, რომ შაჰს უთუოდ ჩამოაგდებენ ტახტიდან: მაშინ ან სხვა გვარის კაცს აიყვანენ ტახტზე, ან შაჰის ერთ-ერთ ისეთს ნათესავს, რომელიც რევოლიუციონერების ყურმოჭრილი მონა იქნება.

**ლიახოვის თხოვნა**

პოლკოვნიკ ლიახოვს უთხოვნია რუსეთის მთავრობისთვის, ხელახლად ჩამრიცხეთ რუსის სამხედრო სამსახურშიო, რადგან ეხლა ისეთი გავლენა აღარ მაქვს სპარსეთში, როგორც მქონდა წინად, როცა რუსის სამსახურში ვითვლებოდიო.

**საზარელი მკვლელობა**

დეპეშებიდან უკვე ვიცით, რომ თეირანში მხეცურად დახოცეს სასულიერო პირები, რომლებიც ბესტში ისხდნენ შაჰ-აბდულ-აზიმის მეჩითში.

ამ ჟამად თეირანში ბევრი კონსტიტუციონალისტი ზის ბესტში: ზოგი შეხიზნულია უცხოეთის საელჩოებში, უფრო ოსმალეთისაში, ზოგი მეჩითებში. ძველის ჩვეულების ძალით, ბესტში ჩამდგარ კაცს, რაც უნდა მძიმე დამნაშავე იყოს იგი, ხმას ვერავინ გასცემს. და აი სპარსელმა შავრაზმელებმა ეს ძველი წმინდა ჩვეულებაც გატეხეს.

11 მარტს შუაღამის დროს შაჰ-აბდულ-აზიმის მეჩითში გაისმა თოფის სროლა. იქ ცალკე სახლში ცხოვრობდნენ ხალხის საყვარელი შეიხი იხტიახარ-აგიტიანი და შეიხი გულამ-ჰუსეინი. ამათ გარდა იმავ სახლში ცხოვრობდნენ მათი სტუმრები და მოსამსახურეები, სულ 10 კაცი. გათენებამდე ვერავინ ვერ გაბედა ამ სახლთან მისვლა. დილით მივიდნენ და სახლში ოთხი გვამი ნახეს: ორივე შეიხი და კიდევ ორი სტუმარი მოეკლათ. ოთხი კაცი ცოცხალი მოეტაცნათ. გადარჩენილიყვნენ მხოლოდ ერთი მოსამსახურე და მისი ცოლი, რომლებიც თურმე დამალულნი შეევედრნენ მკვლელებს. გადარჩენილი ქალი ამბობს, რომ მკვლელებს ყველას მასკები ჰქონდათ აფარებულიო. მკვლელებს კიბე მიუდგამთ და ისე გადასულან ბესტის კედელზე. მოკლული შეიხი იხტიახარი სულ თორმეტის დღის წინად ჩაჯდა ბესტში. ხალხი ღრმა პატივსა სცემდა მას: იგი კონსტიტუციის ბეჯითი მომხრე იყო.

ამათ გარდა შაჰ-აბდულ-აზიმის მეჩითის ეზოში კიდევ 300-მდე კაცი ზის ბესტში. მკვლელობის შემდეგ ესენი, შეშინებულნი, შიგ მეჩითში შეცვივდნენ და კარი ჩაიკეტეს. თეირანიდან მრავალი ხალხი წავიდა შაჰ-აბდულ-აზიმის მეჩითში მოკლულების პატივსაცემლად. ხალხი ჰფიქრობს, რომ ეს სულ მთავრობის ბრალიაო. ირწმუნებიან, რომ ამ საზიზღარ მკვლელობის უმთავრესი მიზეზი არის ბოგატურ-ჯენგი, სპარსეთის ეხლანდელი დიქტატორიო. მოკლულთა გვამები მეჩითის ახლო დაასვენეს. თეირანიდან მრავალი ხალხი მოდის მათ დასატირებლად. ამბობენ, მეგობრებმა წინადვე გააფრთხილეს იხტიახარი, ნუ ჩაჯდები ბესტშიო.

„ბაქუ“-ს ატყობინებენ თეირანიდან: დაამტკიცეს, რომ სასულიერო პირების მკვლელობაში თეირანის გუბერნატორი ურევიაო. ხალხის აღშფოთება ძლიერდება.

**შაჰმა ფული მ-ღო.**

9 მარტს შაჰმა თეირანის ერთ-ერთ ბანკის საშუალებით ბლომა ფული მიიღო გერმანიიდან. ეს ფული ურმით წაიღეს ბაღეშაში. თეირანში ყველა ინტერესით ჰკითხულობდა, ვინ გამოუგზავნიდა ნეტა ამ ფულსაო. ზოგი ჰფიქრობს, რომ ეს ქრთამი იქნება, ვინმე წარჩინებულ მოხელისაგან გამოგზავნილი, ზოგი-კი ირწმუნება, რომ შაჰს ნამდვილად გერმანიამ გამოუგზავნა ფულიო. ეს მეორე მოსაზრება არ უნდა იყოს სწორე. უფრო სწორე უნდა იყოს მესამე მოსაზრება, რომ შაჰმა ალბად კერძო ვალი აიღო გერმანელ ბანკირებისგანო, ამ ფულით შაჰი გაისტუმრებს ჯარისა და სასახლის მოსამსახურეთა ჯამაგირებს.

**რეშტელ რევოლიუციონერების მოქმედება.**

კაზვინში, რომელიც რევოლიუციონერებმა დაიპყრეს, ჯერ-ჯერობით სრული წესიერება სუფევს. რეშტსა და კაზვინში რევოლიუციონერებს 3,000 კაცი ჰყავთ მშვენივრად შეიარაღებული.

რეშტის ენჯუმენმა 4 აფიცერი-პიროტეხნიკოსი გამოიწერა გერმანიიდან, თითოს 65 მარკას (1 მარკა—44 კაპ.) აძლევს დღეში ჯამაგირს. ამ გერმანელ აფიცრების ხელმძღვანელობით დიდძალი ყუმბარა დაამზადეს რევოლიუციონერებმა. რეშტის ენჯუმენმა სულ 380,000 თუმანი (1 სპარსული თუმანი 2 მ.) გადახდევინა რეშტელ მდიდრებს. დიდძალ ყუმბარის გარდა, რეშტელ რევოლიუციონერებს აქვთ: ორი ახალი სამთო ზარბაზანი და ოთხი ძველი ზარბაზანი.

**მეშედესერის აღება.**

რევოლიუციონერებმა აიღეს ქალ. მეშესედერი, კასპიის ზღვის პირად.

**რუსის ასტარაში.**

რუსეთის ასტარაში მივიდა ასი ყაზახი; ამას გარდა იქ გააძლიერეს დამცველი რაზმი.

**სპარსეთის ჯულფაში.**

სპარსეთის ჯულფაში რევოლიუციონერები-ღა დარჩნენ. დანარჩენი მცხოვრებლები სულ სხვა ადგილებში გადასახლდნენ, რადგან ელიან, რომ მალე შაჰის ჯარი დაეცემა ჯულფასაო. იქ ბევრი კავკასიელი მოდის რევოლიუციონერების საშველად. ქართველებმა და სომხებმა სიმაგრეები ააშენეს.

**თეირანზე გალაშქრება.**

კორესპონდენტები ერთხმად ირწმუნებიან, რომ მალე სპარსელი რევოლიუციონერები თავრიზიდან, კაზვინიდან, ისპაჰანიდან და სხვა ადგილებიდან მწყობრად, ერთ და იმავე დროს გაილაშქრებენ თეირანისკენო.

ამ ჟამად შაჰსა ჰყავს შემდეგი ჯარი: თავის სასახლის დასაცველად ბაღე-შაჰში: 1500 ქვეითი ჯარის კაცი, 600 ცხენოსანი და 100 არტილერისტი; თეირანის დასაცველად: 800 ყაზახი, 2,300 ჯარის კაცი, 350 არტილერისტი და 300 ჟანდარმი; მაშასადამე შაჰს სულ ჰყავს—5,950 კაცი. რუსეთის საელჩოს იცავს 25 რუსი ყაზახი, სხვა საელჩოებს იცავენ ყაზახები ლიახოვის ბრიგადიდან.

# სრულიად რუსეთის კრება წყლის მილის საქმეების შესახებ

კვირას, 15 მარტს, ნაშუადღევის 1 საათზედ, ტფ. საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში დაიწყო სასმელ წყლის გამოყვანის საქმის მოღვაწეთა სრულიად რუსეთის მეცხრე კრება. ამ დროსათვის დარბაზში შეიკრიბნენ რუსეთისა და კავკასიის დიდ ქალაქების და სხვა და სხვა სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულების წარმომადგენელნი. კრების გახსნას დაესწრო აგრეთვე ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი მეუღლითურთ, მისი თანაშემწენი, სამხედრო შტაბის უფროსი და სხვანი. კრების წევრებიანად 300-მდე კაცი და ქალი შეიკრიბა.

პარაკლისის გადახდის შემდეგ თავმჯდომარის ადგილი დაიჭირა ქალაქის თავმა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა. მან შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა:

უკანასკნელ 16 წლის განმავლობაში ყოველ 2 წლის შემდეგ იმართება სასმელ წყლის გამომყვანთა კრება. ამ საქმის ინიციატორობა ეკუთვნის ინჟინერს ვ. ი. ზუევს, ხოლო იმის განხორციელებაში დიდი მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის ქალაქის თავმა, განსვენებულმა ნ. ა. ალექსეევმა, და ქალაქ მოსკოვის წყლის მილის მთავარმა ინჟინერმა ნ. პ. ზიმინმა. კრებების მოწყობის საქმეს და იმის ნაშრომთა გამოცემას დღევანდლამდე ასრულებს მუდმივი ბიურო (მოსკოვში არსებობს), რომლის თავმჯდომარედაც არის ინჟინერი ნ. პ. კარელსკიხი. ეს კრებები არკვევენ სხვა და სხვა საკითხს ქალაქებში სასმელ წყლის საქმის გაუმჯობესების შესახებ და სხვა. ამ კრებებმა გაამდიდრეს რუსეთის სატეხნიკო ლიტერატურა და დიდი სამსახური გაუწიეს რუსეთის ბევრს ქალაქს. ქალაქები სარგებლობენ კრებების ნაშრომებით სანიტარო მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. მოგეხსენებათ, სანიტარო საქმეს რა დიდი მნიშვნელობა აქვს ავადმყოფობისა და სიკვდილის შემცირებაში. ეს საქმე დღეს უდიდეს სოციალურ პრობლემას შეადგენს თვით დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში-კი. რუსეთსა და ჩვენში ეს საქმე ახალია და კრებები ჯერ იმ საკითხებს უნდებიან, რომელიც შეეხება ქალაქის კეთილდღეობას. მაგრამ გაივლის დრო, კულტურა ამაღლდება, კრებებიც გააფართოვებენ თავიანთ მოქმედებას და ყურადღებას მიაქცევენ ჩვენს მივარდნილ სოფლებსაც, რომელიც ეხლა იხრჩობა სიღარიბე-სიბნელეში. მილის წყლის საქმის მოღვაწეთა უკანასკნელ კრებაზე 1907 წელს პეტერბურგში გადასწყდა, შემდეგი მორიგი კრება ტფილისში მომხდარიყო. უპირატესობა ჩვენს ქალაქს სხვა და სხვა მოსაზრებით მიეცა. სთქვეს, ტფილისი განსხვავებული ქალაქია და ბევრს რასმეს ვნახავთ იქაო. რომ ტფილისში კრების გამართვით წევრები გაიცნობენ ახალ ქვეყანასაო. მაგრამ უმთავრესია სხვა მოსაზრება, რომელიც აგრეთვე კრებაზე გამოსთქვეს. ზოგმა წევრმა სთქვა: თუ ჩვენი წევრები მივლენ კავკასიაში, რომელიც საკუთარის ცხოვრებით სცხოვრობს, და მიიტანენ თავიანთ ცოდნას, გამოცდილებას და ძმურს განწყობილებას, ისინი დიდ როლს შეასრულებენ კავკასიისა და რუსეთის ერთობის საქმეშიო. ჩვენ, კავკასიელნი, ამ ბოლო დროს შევეჩვიეთ ჩვენს შესახებ სხვა და სხვა ცილის წამებასა და ინსინუაციას. ამიტომ ძვირფასია ჩვენთვის ძმური განწყობილება, რასაც ჩვენ ჩვენის მხრით სიხარულით ვეგებებით და ვუპასუხებთ: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო სტუმრებო!“ მხოლოდ ის განათლებული და ფართო რწმენის ადამიანები, რომელნიც დაშორებულნი არიან ქვეყნის სურვილებისა და ვიწრო პარტიულ ტენდენციებს, შესძლებენ ამ დაახლოვება-შეკავშირებას. ამიტომ განსაკუთრებულის აღფრთოვანებით ვეგებები ამ კრებას როგორც მე, ისე ტფილისის ქალაქის თვითმართველობა მადლობას გიძღვნით ამ კრების წევრებს და დიდად პატივცემულ სტუმრებს, რომელთაც თავიანთ მობრძანებით და დასწრებით პატივი სცეს დღევანდელს ჩვენს დღესასწაულს. გულწრფელად ვისურვებ, რომ ეს კრება იმ ჯაჭვის კულტურულ რგოლებად გადაიქცეს, რომელიც შეუერთებს კავკასიის მცხოვრებთ რუსეთის საზოგადოებას მის პროგრესიულ მისწრაფებაში. ვისურვებ, კრებას ჩვეულებრივ ბრწყინვალედ შეესრულებინოს დანიშნულება და პრაქტიკული სარგებლობა მოეტანოს მთელის რუსეთისათვის. ვაცხადებ მეცხრე კრებას გახსნილად.

ქალაქის თავის სიტყვას დიდის ტაშის ცემით მიეგება კრება. შემდეგ თავმჯდომარემ ბ-ნმა ჩერქეზიშვილმა გააცნო კრებას შინაარსი მისალოც დეპეშისა. კრებას დეპეშით მიეგება და ნაყოფიერი მუშაობა უსურვა გზათა მინისტრმა რუხლოვმა, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა კრიჟანოვსკიმ, საინჟინერო აკადემიის უფროსმა ინჟინერმა სახეევმა, ინჟინერმა ზიმინმა, ბაქოს სატეხნიკო საზოგადოებამ და სხვებმა.

მოკლე სიტყვები წარმოსთქვეს მოსკოვის ქალაქის თვითმართველობის სახელით ინჟინერმა კარელსკიხმა, კიევის ქალაქის თვითმართველობის სახელით ინჟინერმა უდანოვმა, ნიჟნი-ნოვგოროდის ქალაქის გამგეობის წარმომადგენელმა, ბათუმის ქალაქის თვითმართველობის სახელით გ. დ. ჟურულმა, მოსკოვის ტეხნიკოს ინჟინერთა საზოგადოების სახელით ინჟინერმა იგნატიევმა. სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ხარკოვის საიმპერატორო სატეხნიკო საზოგადოებისა და კავკასიის საიმპერატორო სატეხნიკო საზოგადოების წარმომადგენლებმა, ბაქოს ქალაქის თავმა ბ-ნ რაევსკიმ, პეტერბურგის სამთო-მადნო ინჟინერთა საზოგადოებისა და სხვა სამეცნიერო საზოგადოებების წარმომადგენლებმა და სხვებმა. შემდეგ ტფ. ქალაქის გამგეობის ტეხნიკოსთა სახელით მოკლე სიტყვა სთქვა ალ. ხატისოვმა. ჩვენ კავკასიელებიო, სთქვა მან, კრებას შეგვიძლიან შემდეგის სიტყვით მივეგებოთ: „მტკვრის წყალს დალევ, ჩვენი იქნებიო“. „ჩვენი იქნებიო“ ეს იმასა ნიშნავს, რომ ჩვენ, კავკასიელნი, ვცხოვრობთ ერთის იდეალით რუსეთის საუკეთესო შვილებთან ერთად. „ჩვენი იქნებიო“, ნიშნავს მხურვალე სურვილს, რომ კავკასიის ასაყვავებლად დაარსდეს უმაღლესი სასწავლებელი ტფილისში, შემოღებულ იქმნას საერობო დაწესებულებანი და მალე განხორციელდეს რეფორმებიო.

დასასრულ, ინჟინერმა გ. ზ. ქურდიანმა წაიკითხა მოხსენება [illegible] საქმის ისტორიას.

კრება [illegible] ფოტოგრაფმა კრების სურათი გადაიღო და საპატიო სტუმრები და კრების წევრნი ნაშუადღევის 3 საათზედ დაიშალნენ. ამავე დღეს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის თავმა თავ. ჩერქეზიშვილმა სტუმრები და კრების წევრნი საარტისტო საზოგადოებაში ჩაიზე მიიწვია.

გუშინ დილით სხდომა ზუბალაშვილის სახალხო სახლში მოხდა. კრება ყველა საქმეს კვირამდე დაასრულებს.

# საზღვარ-გარედ

**ინგლისის და გერმანიის გაჯიბრება.**

ამ დღეებში ინგლისის დეპუტატთა პალატაში პირველმა მინისტრმა ასკვიტმა საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა ინგლისისა და გერმანიის ფლოტის შესახებ. მისმა სიტყვამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. პირველმა მინისტრმა სრულის გულახდილობით უამბო პალატას, თუ რა აჩქარებით აშენებს და აძლიერებს თავის მებრძოლ ფლოტს გერმანია და რა მოლაპარაკება გამართა ამის თაობაზე ინგლისის მთავრობამ გერმანიის მთავრობასთან. ასკვიტმა სთქვა:

„ჩვენ არა ერთხელ მივეცით წინადადება გერმანიას, რომ ორივემ ერთად შევამციროთ ფლოტის აშენებაო, მაგრამ მისგან ყოველთვის გადაჭრილი პასუხი მივიღეთ, რომ გერმანია თავის საკუთარ საჭიროების დაკვალად აშენებს ფლოტს და სრულიად არავითარ ანგარიშს არ უწევს ინგლისის პროგრამასაო. თქვენ გინდ ას ახალ ჯავშნოსანს აშენებდეთ «დრედნოუტ»-ის (უზარმაზარი ჯავშნოსანია) ტიპისას, გინდ ერთსაც არ აშენებდეთ—აქას სრულიად არავითარი გავლენა არ ექნება გერმანიის პროგრამაზეო. ასეთი პასუხის შემდეგ შეუძლებელი იყო ლაპარაკი ფლოტის აშენების შეზღუდვაზე.

წარსულ წლის ნოემბერში ინგლისის საადმირალომ მიიღო მეტად საშიში ცნობა, რომ გერმანია დიდის სისწრაფით აშენებს თავის ფლოტსაო. ამ სრულიად სარწმუნო ცნობების თანახმად, გერმანიას 1912 წლის დამდეგს უეჭველად ექნება 13 უდიდესი ჯავშნოსანი და თუ გერმანია ეხლანდელის სისწრაფით განაგრძობს ფლოტის აშენებას, შესაძლებელია, რომ 1912 წელს მას 17 უდიდესი ჯავშნოსანიც ჰქონდეს. ინგლისის ეხლანდელი საზღვაო ბიუჯეტი იმ ანგარიშითაა შედგენილი, რომ ინგლისს ყოველ შემთხვევაში მეტი ჯავშნოსანი ჰქონდეს, ვიდრე გერმანიას. 1910 წელს ინგლისს ასეთი გემი 10 ექნება, გერმანიას მხოლოდ 5, მაგრამ 1912 წელს ინგლისს 16 ჯავშნოსანი ექნება, ხოლო გერმანიას უკვე—13. თუ გერმანია კიდევ ეხლანდელის სისწრაფით განაგრძობს ფლოტის აშენებას, ამ შემთხვევისთვის საადმირალო თხოულობს ნებართვას, შეუდგეს კიდევ ოთხ ახალ ჯავშნოსნის აშენებას, და თუ პალატა ნებას დართავს, მაშინ ინგლისს 20 ჯავშნოსანი ექნება 1912 წელს, გერმანიას—17.

გერმანიის მთავრობამ გადაჭრით გამოგვიცხადა, რომ იგი არ აპირებს თავის საზღვაო პროგრამის შესრულების დაჩქარებას. ჩვენ არა გვაქვს უფლება, არ ვენდოთ მეგობარ სახელმწიფოს ასეთს განცხადებას და ამიტომ არ წარვუდგენთ პარლამენტს პროგრამას, დაფუძნებულს ასეთს უნდობლობაზე. მეორეს მხრით ხსენებულ განცხადებას არა აქვს ფორმალურ ხელშეკრულობის ძალა, იგი არა ფერს არ აკალებს გერმანიას, ამიტომ ჩვენ მაინც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ იქნება გერმანიამ შესცვალოს თავისი განზრახვა და თავის პროგრამის შესრულება დააჩქაროს, ამ შემთხვევისათვის ჩვენ გთხოვთ, რომ კიდევ ახალ გემების აშენების უფლება მოგვცეთ. ასეთი ნებართვა საჭირო არ იქნებოდა, ინგლისი რომ წინანდელივით დარწმუნებული იყოს, რომ იგი უფრო სწრაფად აშენებს გემებს, ვიდრე გერმანია. წინად ინგლისი 24 თვეში აშენებდა გემს, გერმანია—30 თვეში. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა მოგახსენოთ, რომ გერმანია ეხლა გაცილებით უფრო ჩქარა აშენებს გემებს, ვიდრე წინად და თუმცა თქვენი შეშინება სულაც არ მინდა, მაგრამ მაინც მოვალე ვარ აღვნიშნო, რომ ამ ამ წინანდელ უპირატესობის—სისწრაფის იმედად ანაბარა აღარ უნდა დავდგეთ.

# რუსეთი

✦ **ტერორისტული აქტები ამ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში.** წინად ჩვენ მოვიყვანეთ მთავრობის ოფიციალური სტატისტიკა უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში სიკვდილით დასჯილთა შესახებ იმავე ოფიციალურ სტატისტიკით. 1906 წელს 4,101 ტერორისტული აქტი მომხდარა. (აქედან 768 თანამდებობის კაცი მოუკლავთ). 1907 წელს 9,181 აქტი (მოუკლავთ 1,231 თანამდებობის კაცი), 1908 წელს—7,732 აქტი (394 თანამდებობის კაცი მოუკლავთ) ამ რიგად, თუმცა სიკვდილით დასჯილთა რიცხვმა ერთი ორად იმატა 1906 და 1907 წლებში (144—456) ტერორისტულმა აქტებმაც იმატეს (4,101—9181). 1908 წელს კი სულ სხვანაირ სურათს ვხედავთ. იმ დროს, როდესაც ტერორისტულმა აქტებმა იკლეს (9,181—7,732), სიკვდილით დასჯილთა რიცხვმა იმატა (456—825).

✦ **ლევ ტოლსტოი.** ამ რამდენიმე ხნის წინად ქალაქმა სევასტოპოლმა შინაგან საქმეთა მინისტრთან შუამდგომლობა აღძრა, რომ ტოლსტოი ქალაქის საპატიო წევრად ითვლებოდესო. გაზეთ „რუსკ. სლოვოს“ სიტყვით, შინაგან საქმეთა მინისტრს ქალაქის შუამდგომლობა უყურადღებოდ დაუტოვებია.

# პროვინციის ცხოვრება

**ყალამშია** (ბორჩალოს მაზრა). ყალამშია ბორჩალოს მაზრის სოფელია, ქართველებით დასახლებული და სოფელ მიჯათი, რომელიც გვერდზე აკრავს, 120 კომლამდე შეიცავს. ყალამშია—მიჯა გარშემორტყმულია თათრების სოფლებით; ამიტომ აქ ენასთან ბევრი სხვა ზნე-ჩვეულებაც შეუთვისებიათ თათრებისა. აქაური ქართველები ერთმანეთშიაც კი ხშირად ლაპარაკობენ თათრულად და ქართულს ლაპარაკს ხომ ძალიან აჭრელებენ თათრულის სიტყვებით და ანდაზებით. კაცი იფიქრებს, რომ თავის ეროვნებას მოწყვეტილი აქაურნი ქართველები დაკავშირებულნი იქნებიან ერთმანეთთან ეროვნულის გრძნობითა და სოლიდარობითაო, მაგრამ ამ მხრივაც ყალამშია-მიჯა უნუგეშო სურათს წარმოადგენს ერთმანეთის დახმარებისა და გატანის მაგიერ აქ ქიშპობა და მტრობაა გამეფებული. თუ რანაირ განსაცვიფრებელ მხეცობამდის აღწევს ეს მტრობა ამას ნათლად ახასიათებს აქ ამ დღეებში მომხდარი ამბავი,

1905 წელს სულ უბრალო საქმის გამო მოსვლიათ ჩხუბი ყალამშიაში მცხოვრებთ დიმიტრი ციხელაშვილს და ვანო ოკმელაშვილს. საქმე იქამდის მისულა, რომ უშიშვლიათ ხანჯლები და ერთმანეთი გამოუშიგნიათ. ორივე მომკვდარა. თითქოს ამით საქმე უნდა გათავებულიყო ამისთანა მხარეშიაც კი, სადაც სისხლის აღება დაკანონებულია, რადგან ციხელაშვილმა და ოკმელაშვილმა უკვე აიღეს ერთმანეთის სისხლი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. იზრდებოდა დიმიტრი ციხელაშვილის ვაჟი ლევანა და, დედა-ბიძების ზეგავლენით, ეზრდებოდა მას მამის სისხლის აღების წყურვილიც. ივანე ოკმელაშვილს დარჩა ძმა ვასა, რომელმაც კარგად იცოდა, რომ ციხელაშვილები მას თავიანთ მოსისხლე მტრად სთვლიან და, თუ ხელში მოიგდებენ, თვალებს არ დაუკოცნიან; მაგრამ თავის მხრით მას მტრობა არ შეეძლო, რადგან მარტოხელა კაცს ცოლი და ათი წვრილშვილი ჰყავდა შესანახი. ვასა დღე და ღამესასწორებდა, თავ აუღებლად მუშაობდა და თავის უღელი ხარით ოჯახსაც ინახავდა, მტერსაც უხვდებოდა და მოკეთესაც.

1908 წლის ზაფხულის ერთს სისხამ დილას ვასამ ხარები მინდორში გარეკა საძოვრად, თავად წინ დაბრუნდა, რომ კალოში ძნა ჩაეშალა. 18 წლის ლევანა ციხელაშვილს ამ დილით ბინოვრიდან ურმით ძნა მოჰქონდა შინ. ვასას ხარები რომ უპატრონოთ დაინახა, აღეძრა შურისძიების სურვილი, გაექანა და ერთს მათგანს ფერდში ხანჯალი გაუყარა. პირუტყვი უსულოდ დაეცა მიწაზედ. ეს დღე მოელოდა მეორესაც, მაგრამ გონიერმა „შვინდამ“, რომ თავის მეგობრის უბედურება დაინახა, შეიფუნდრუკა და გაჰკურცხლა შორს. ლევანა ამ ხანად ამითაც დაკმაყოფილდა, გასწმინდა მწვანეზე ხანჯალი, ჩააგო ქარქაშში და, შურისძიებით გახარებულმა წამოიღო ურემი შინისკენ. ჯერ ლევანას ურემი შინამდის არ მიეტანა, რომ იმისს დედას ამბავი მოუვიდა; თქვენი სამივე კვებულა (ხბო) მგლებს შეუჭამიათო. „რა გიხარიან ნეტა ვიცოდე?—მიაძახა დედამ ეზოში მხიარულის სახით შესულს ლევანას:—ის [illegible] გაგიხარდა, რომ ოკმელაანთ ვასას შენი კვებულებისთვის ყელები დაუჭრია და მგლების ლუკმად გაუხდია!“

ამ ამბით გაცეცხლებული ლევან, შევიდა შინ, წამოავლო ბერდანას ხელი და გაექანა ვასას სახლისაკენ. ის კი ამ დროს არხეინად კალოში ძნას უშლიდა და არაფერი იცოდა შესახებ „თაფლას“ სიკვდილისა და ციხელიანთ ხბორების მგლისაგან დაგლეჯისა. შავი დღე მოელოდა მას, თუ იმის ბედზედ ბერდანით ხელში მომავალ ლევანასთვის თვალი არ შეესწრო ნიკოლოზ ლომისდარს, რომელსაც ბოსტნის მოსარწყავად წყალი გადმოეგდო და ვასას კალოს გვერდზე რუსა ფხეკდა. „არიქა, ვასავ, თავს უშველე, აგე ციხელიანთ ლევანა თოფით შენსკენ მორბისო“, დაუძახა მან ოკმელაშვილს. ვასა სახლში შეიჭრა. გამხეცებულმა ლევანამ, ვასა რომ ველარ დაინახა, იძრო ხანჯალი და კალოზე მოთამაშე იმის ბალღებს დაუწყო ჩეხვა. უმცროსს ბავშვს ჩაჰკრა კისერში ხანჯალი, ოთხი წლის სონამ დაიწყო ფართხალი და ბანიდან საბძელში ჩავარდა. ახლა მიუბრუნდა უფროსს, იგი გაექცა, ორფეხა მხეცი გამოუდგა და ის იყო მისთვისაც უნდა დაებნელებინა მზე, რომ შემოქნეული ხანჯალი ჰაერში გაიყინა: სწორედ ამ დროს მას ხელი უტაცა ბავშვის ბიძაშვილმა, თოთხმეტი წლის ოლგამ. „ოღონდ მაგას ნუ მოჰკლამ და მე რაც გინდა მიყავიო“, ევედრებოდა ოლგა. მისმა ვედრებამ ამაოდ არ ჩაიარა და გაცოფებულმა ლევანამ ხანჯლის ერთი მოქნევა არც იმისთვის დაიშურა. მხარში დაჭრილი ოლგა მკვახივით გაგორდა მიწაზე. ამ დროს ვასაც თოფით გამოვარდა კალოზედ, რომ თავხედ მტრისათვის ღირსეული პასუხი გაეცა. ახლა კი იკადრა ციხელაშვილმა და მოჰკურცხლა. წივილკივილზედ შეიყარა მეზობლობა. მთელი ციხელაანთ საგვარეულო (10-მდე კომლია) მიემხრო თავის სასიქადულო მოგვარეს, დანარჩენებმა ვასას დაუჭირეს მხარი, წამოავლეს ხელი თოფებს, ხანჯლებს, ორთითებს, კეტებს და დაერივნენ... დაიწყო ბრძოლა, რომლის მსგავსს „ქართლის ცხოვრების“ მემატიანენიც არ გადმოგვცემენ. ბევრი დარჩა უხელოდ, უფეხოდ, უყუროდ; ბევრს გამშველებელსაც გაუჩეჩქვეს თავი და გამოუშვეს სისხლი. ბოლოს, როგორც იყო, სძლია ციხელაანთ რაზმმა. ძლეულნი გაიფანტნენ და მიაშურეს თავთავიანთ სახლებს, გამარჯვებულნი გამოეკიდნენ და დაუწყეს თოფების სროლა. ერთმა ძლეულთაგანმა იხელთა დრო და გაიქცა სოფელ ბაშკიჩეთში, რომ ბოქაულისთვის ეცნობებინა ყალამშიური ომი. ციხელაანთ რაზმმა რომ ეს გაიგო, ბოქაულ-ჩაფრების მოლოდინში, იერიში შესწყვიტა.

განაჩენი ამ ომის შესახებ „სხვა და სხვა მოსაზრებით“ სულ უბრალოდ იყო დაწერილი: „1908 წელს მკათათვის 31-ს დღესა სოფელ ყალამშიაში მცხოვრებთ ლევანა ციხელაშვილს და ვასილ ოკმელაშვილს მოუვიდათ ჩხუბი; ორივემ იძრო ხანჯლები და მიიწია ერთმანეთზე. გაშველების დროს უცაბედად დაიჭრნენ იქ მდგომი ბავშვები“. და სხვა. მოწმებსაც არ მოუნდათ ბევრი ძებნა, მხოლოდ ერთი ნიკოლოზ ლომისდარი გაჯიუტდა და უარი სთქვა ამისთანა მოწმობაზე; მაგრამ ციხელაშვილები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათის შიშით ვერც ის გაჰბედავდა სიმართლის თქმას. გამოძიების შემდეგ ოლქის სასამართლოს გადაეცა ეს საქმე, რის გარჩევის დროსაც (ამა წლის თებერვლის ცხრამეტში) მოწმეებმა თავიანთი პირველი ჩვენება გაიმეორეს, მარტო ერთმა ნიკოლოზ ლომისდარმა გაჰბედა და სთქვა სიმართლე. დამნაშავეს წელიწად ნახევარი ციხე გადაუწყვიტეს. წათამებულმა ციხელაშვილებმა ესეც იბევრეს, საქმე სამოსამართლო პალატაში გადაიტანეს განსახილველად და ლევანას თავმდებობით აალდინეს დატუსაღება საქმის გათავებამდის. არც ლომისდარი და ოკმელაშვილი დასტოვეს უყურადღებოდ: „ჩვენ ამ წელიწად-ნახევარ ციხესაც მოვასპობინებთ და თქვენ კი ორივეს მალე მზეს დაგიბნელებთო“, ახარეს მათ სასამართლოს კარებშივე. ოკმელაშვილი და ლომისდარი შებრუნდნენ მაშინვე და გამოუცხადეს ეს ოლქის სასამართლოს. „ნუ გეშინიანთ, როგორ შეუძლიანთო“! იყო პასუხი. ამისთანა ნუგეშის შემდეგ ვასამ ერთი კი გაიქნია მწარედ თავი და შემდეგ დაღონებულმა გამოსწია შინისკენ.

ყალამშიელებს საძოვრად და სახნავადაც თავად ქობულაანთგან იჯარით აქვთ აღებული 400 დესეტინა მიწა, რაშიაც ყოველ წლიურად იხდიან 200 თუმანს. წელს კი მოურიგდნენ, რომ ნაწილი ამ იჯარისა გადაუხადონ მუშაობით და ქობულაშვილის ტყეშივე დაამზადონ 300 საჟენი შეშა მიმდინარე წლის 15 მაისამდის. მცირე რიცხოვან ყალამშიისათვის ადვილი შესასრულებელი არ იყო ეს საქმე ამიტომ ყველანი გულმოდგინეთ შეუდგნენ თავიანთ ხვედრ შეშის დამზადებას, რომ თავიდან აეცილებინათ ის ჯარიმა, რომელიც მათ გადაჰხდებოდათ, თუ ვადაზედ ვერ მოასწრებდნენ დაპირებულ 300 საჟენი შეშის დადგმას. ტყე, სადაც ამზადებდნენ შეშას ყალამშიელები, დაშორებულია სოფლიდან 10 ვერსის მანძილზედ, ამიტომ მათ თან მიჰქონდათ ერთი კვირის ხარჯი და ამ ცივ ზამთარში ორშაბათიდან შაბათამდე სახელდახელოდ გაკეთებულს ქოხებში ათევდნენ ღამეებს. ყოველ საღამოს, მორჩებოდნენ თუ არა მუშაობას, ყალამშიელები გააჩაღებდნენ ქოხებში ცეცხლს და მოუსხდებოდნენ გარშემო. მთელი დღის გაცხარებულ მუშაობის შემდეგ დასვენება იყო საჭირო, მაგრამ გლეხისთვის დასვენება და ძილი ერთსა და იმავეს როდი ჰნიშნავს: მისთვის საკმარისა 4—5 საათის ძილი დღელამეში—ასეა მიჩვეული. ამიტომ ყალამშიელებიც მუშაობის გათავების შემდეგ მაშინვე ძილს არ მიეცემოდნენ ხოლმე: ვახშმის შემდეგ ზოგი ცეცხლის შუქზედ საშინაოდ ნიჩბებსა სთლიდა, ზოგიც მასლაათობდა და ოხუნჯობდა. თებერვლის 25-შიაც ყალამშიელების ქოხებში ვახშმის შემდეგ გაიმართა ხუმრობა და სიცილი. ყველაზედ მეტს სიტყვა-მოსწრებული ვასა აცინებდა ამხანაგებს: ის ამ დღეს არა ჩვეულებრივად მხიარულ გუნებაზე იყო. ეს ამხანაგებმაც კი შენიშნეს „ვასავ, ამაღამ შენ მოგელის რამე, ისე ხარ ატეხილი“! უთხრა ვიღამაც. ხუმრობა-სიცილმა თითქმის შუაღამემდის გასტანა, შემდეგ კი ღრმა ძილს მიეცნენ. ერთი საათის დაძინებულებიც არ იქნებოდნენ, უცებ რაღამაც იჭექა და დარეტიანებული მუშები ზეზე წამოცვივდნენ. მოესმათ რაღაც ხრიალი ყველამ ყურები სცქვიტა. ხრიალი იქიდან მოდიოდა, სადაც ვასა იწვა. გაჰკრეს წუმწუმა და დაინახეს, რომ ვასას მკერდიდანა სისხლი სდიოდა... ბევრს ეცადა ვასა რიღაცის თქმას, მაგრამ ვერ მოახერხა: ყელში მოწოლილი სისხლი ხმის ამოღების ნებას არ აძლევდა. უბედურს ერთი გააქრთოლა. შემდეგ გაიჭიმა და სამუდამოდ დახუჭა თვალები. გამოცვივდნენ გარედ და დაინახეს (მთვარიანი ღამე იყო), რომ ფერდობზედ ფხაჭა-ფხაჭით გარბოდა ოთხი შეიარაღებული დათვი.

გულის შემზარავს და სულის შემხუთავს სურათს წარმოადგენდა ვასას მოსვენება სოფელში. იმის ცოლს და ცხრა წვრილ-შვილს (ექვსი ქალი, უფროსები, და სამი ვაჟი, უმცროსები) სიტყვის და ცრემლის უნარი დაჰკარგოდათ. დამსწრენი წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ მტარვალებს, რომელთაც მოჰკლეს სოფლის თვალი ვასა და მით სიცოცხლის სახსარი მოუსპეს ათ სულს.

ვასას დასაფლავების მეორე დღეს ოლქის სასამართლოდან ბოქაულს მოუვიდა მოწერილობა, რომ თვალი დაიჭიროს ვასილ ოკმელაშვილზე და დაიფაროს იგი დამუქრებულ მტრებისაგან. ნიკოლოზ ლომისდარზე კი ამისთანა მოწერილობის გამოგზავნას არა ჩქარობენ, რადგან იგი ჯერ არ მოუკლამთ! **ვეძის-ხეველი.**

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული წარმოდგენა** („ოტელლო“). დრამატიულ საზოგადოების დასს ზამთრის სეზონის დასრულების შემდეგ დიდი გულმოდგინეობა და მეცადინეობა ეტყობა. თითქმის ზედიზედ თამაშობენ ან ახალს პიესებს და ან ისეთ ძველს პიესებს, რომელნიც თავის მიმზიდველობას არასოდეს არა ჰკარგავენ. ერთ-ერთი ასეთი მუდამ საინტერესო დრამატიული ნაწარმოები, სახელდობრ, შექსპირის უკვდავი ტრაგედია „ოტელლო“ ითამაშეს ჩვენმა არტისტებმა შაბათს. კლასსიკურ პიესების დადგმა ქართულ სცენაზე ჩვენ მით მოსაწონ დაწყებულებად მიგვაჩნია, რომ ქართულ თეატრს სხვებზე მეტად ისევ მოსწავლე ახალგაზრდობა ეტანება.

თუმცა „ოტელლო“ მეტად ძნელი სათამაშო ტრაგედიაა, მაგრამ ჩვენმა არტისტებმა მაინც საკმაოდ გვარიანად აასრულეს იგი. როგორც ჩანს, ქართველმა არტისტებმა თავი დაანებეს „ნიჭის“ იმედზე ყოფნას, შრომას უმეტეს და ნაყოფიც უკვე თვალწინა გვაქვს. ზოგიერთი ჩვენი არტისტი, თუმცა დიდი ხანია სცენაზე ილწვის, მაგრამ სწორედ ეხლა შედის წარმატებაში. განსაკუთრებით ცხადად ეტყობა ეს თანდათანი წარმატება ქ-ნს მდივანს, რომელიც შაბათს სრულიად დამაკმაყოფილებელი დეზდემონა იყო. ამ მსახიობმა ქალმა თითქმის სრულიად დაივიწყა თავისი წინანდელი მანერა სცენაზე თავის დაჭერისა, გადაჭარბებულ სხეულის უხეშ მოძრაობას, მკვახე დიქციას და სამაგიეროდ შეითვისა გრაცია; ცხადად ეტყობა, რომ სცდილობს, გადაეჩვიოს ჩვენის არტისტების საერთო ნაკლულევანებას, გალობას. თუმცა ამ მხრივ ქ-ნს მდივანს ჯერ კიდევ დიდი მეცადინეობა დასჭირდება, მაგრამ ეს ისეთი ნაკლულევანებაა, რომ იმის დასაძლევად შრომის გაწევა დასანანი არ არის. ამ გარეგან ფორმების გალამაზებას თან მოსდევს გასაპიროვნებელ ხასიათების და დასასურათებელ მდგომარეობათა შეგნება, რაც თვალ-საჩინოდ ხელს უწყობს არტისტის დაწინაურებას. სწორედ ამ მეცადინეობას უნდა მიეწეროს, რომ ქ-ნმა მდივანმა ყოვლად დამაკმაყოფილებელი დეზდემონა გვაჩვენა, უმანკო, ნაზი, ღრმად მოსიყვარულე და სათნოიანი.

ბ-ნი გუნია, ოტელლოს მძიმე და პასუხსაგებ როლში, უნაკლულო არ იყო, თუმცა კი საერთოდ საკმაოდ კარგი საყურებელი იყო. ჩვენის ფიქრით, უპირველესი ნაკლი ბ-ნ გუნიასი ოტელლოს როლში ის იყო, რომ მან ვერ გამოიანგარიშა სწორედ სადამდე შესწევდა ძალღონე იმ დამაბრმავებელ და გამამხეცებელ ეჭვიანობის გამოსახატავად ხმით, მიხვრა-მოხვრით და სხვა გარეგანის ფორმებით, რომელიც ბოლოს ოტელლოს სულის ერთად ერთ ბატონად ჰხდება და საზარელ მკვლელობას ჩაადენინებს. ამის მიზეზით ტრაგედიის უკანასკნელ აქტში ბ-ნმა გუნიამ უფრო ნაკლები შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე წინანდელ აქტებში. ყველაზე უკეთესად ბ-ნმა გუნიამ ეჭვიანობის გაღვიძების პირველი მომენტები დაასურათა. რა თქმა უნდა, ბ-ნი გუნია გაცილებით უკეთესი ოტელლო იქნებოდა, როლი რომ უკედ ჰქონოდა გაკვეთილი და სიტყვები არ ეყლაპა.

იაგოს როლში ბ-ნმა შალიკაშვილმა ვერ დაგვაკმაყოფილა. ბ-ნმა შალიკაშვილმა იაგო დაგვისურათა, როგორც უბრალო გაიძვერა და ქლესა ადამიანი. ნამდვილად კი იაგო ბოროტების დემონური განხორციელებაა. როგორც უბრალო გაიძვერა, ბ-ნ შალიკაშვილის იაგო სუსტ არსებას ჰგვანდა. ნამდვილად იაგო მეტად ძლიერი პიროვნებაა, რომელიც ოტელლოს სათამაშო ბურთივით ისვრის წაღმა-უკუღმა. ჯადოსნური დამატყვევებელი ძლიერება იაგოსი მთელის ტრაგედიის ღერძს წარმოადგენს. როცა იაგო სცენიდან სუსტ პიროვნებად იცქირება, გონება არ იჯერებს, რომ ოტელლო იმის ქსელში გაბმულიყოს და მთელი ტრაგედია ჰკარგავს ლაზათს.

ბ-ნს იმხნელს ამ ხელად შედარებით მარტივი როლი ჰქონდა. ალბად ესაა მიზეზი, რომ იგი ამ საღამოს პირნათლად დარჩა საზოგადოების წინაშე. პირველიდანვე მძიმე პასუხ-საგებ როლებში იმისი გამოყვანა დიდი შეცდომა იყო, თან და თან ბ-ნი იმხნელი შეიძლება ისე შეეჩვიოს სცენას, რომ სასარგებლო არტისტი დადგეს. ბ-ნს იმხნელს კარგი ქართული გამოთქმა აქვს, მაგრამ თვით ენა კი, როგორც ეტყობა, სუსტად იცის. იმგვარის ვულგარულის ფორმებით, როგორც მაგალითად „ვთხოვ“, ხშირად ბ-ნი იმხნელი მეტად უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. ეს ნაკლულევანება, რა თქმა უნდა, ადვილი გასასწორებელია, თუ ახალგაზრდა მსახიობი შრომას არ დაიზარებს. არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ ამ საღამოს ბ-ნი იმხნელი ზოგჯერ გალობდა ხოლმე. ეს საერთო ნაკლი ჩვენის არტისტებისა, როგორც სჩანს, იმასაც ედება. თუ ბ-ნი იმხნელი ეხლავე არ გაერიდა ამ სენს, მერე ძნელი და იქნება იმისი დაძლევა.

დანარჩენ მსახიობთაგან კარგად, შეგნებულად და სინდისიერად აასრულა თავის როლი ქ-ნმა ქილარჯიშვილმა. სამწუხაროდ, მეტად უბადრუკი და უშნო სანახავები იყვნენ ვენეციის დიდებულნი, რომელთაც დიდებულება სულ არაფერში არ ეტყობოდათ. სუსტობდნენ აგრეთვე შიკრიკები. დეკორაციები და სცენის მორთულობა ღარიბი და შეუფერებელი იყო.

—

**კონცერტი სახალხო სახლში.** ზუბალაშვილის სახალხო სახლში კვირას გაიმართა „ინტერნაციონალური კონცერტი“. სხვა და სხვა ენაზე წაიკითხეს ლექსები, იმღერეს რომანსები, დაუკრეს სკრიპკა და ვიოლონჩელზე და სხვა. კონცერტის წინ ა. ი. ხატისოვმა წაიკითხა ლექცია მეტერლინკის პოეზიაზე. ხალხმა ტაშისცემით დააჯილდოვა ლექტორი.

კონცერტი თითქმის ხირველ საათზე დაიწყო. ხალხი იმდენი მიაწყდა, რომ დარბაზში ტევა აღარ იყო. ბევრი თითქმის ოთხი საათის განმავლობაში ფეხზე იდგა. როგორც ყოველთვის, ბევრი იმათგანი, ვინც კონცერტში მონაწილეობას იღებდა, თავის დროზე არ მოვიდა და კონცერტიც ამიტომ დაიწყო გვიან, ზოგმა არამც თუ დაიგვიანა, სულ არ მოვიდა. კონცერტს უმთავრესად დემოკრატიული ნაწილი დაესწრო.

ძალიან მოეწონა საზოგადოებას ძმანი და და პალცევები. 8-9 წლის ბავშვი პალცევი მშვენივრად უკრავდა სკრიპკაზე. ამ ბავშვის ერთი გამოსვლაც კი სიხარულსა და აღტაცებას იწვევდა ყველაში. ამასთან ბავშვს მეტად თავისუფლად ეჭირა თავი. ვიმეორებ, ბავშვმა დიდი აღტაცება გამოიწვია.

ჩვენის აზრით, კონცერტი არაფერს დაჰკარგავდა, პროგრამა რომ ცოტათი შეემოკლებინათ. კარგი იყო სომხის ქალი, ლექსის წამკითხავი. ეტყობოდა რომ გულწრფელად კითხულობდა, რადგან ყველანი, ვისაც ენა ესმოდა, აღტაცებაში მოიყვანა. მოეწონა ხალხს ნოსოვიც. აპუხტინის „შეშლილი“ შეასრულა. ნოსოვს მშვენიერი ხმა აქვს, ეტყობა დახელოვნებული დეკლამატორიც არის. მომღერლებში ბევრმა კარგად შეასრულა თავისი ნომერი. საზოგადოდ, კონცერტში ეს ნაწილი უფრო საინტერესო იყო. განსაკუთრებით კარგები იყვნენ ბ-ნნი ლებონი და ნესტოროვი. უკანასკნელმა ერთი ქართული სიმღერაც შეასრულა აკომპანიმენტით, რისთვისაც დაუსრულებელის ტაშით იქმნა დაჯილდოვებული. მშვენივრად იმღერა ქ-ნმა ნიკოლაევამ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველაზე სუსტი ქართული განყოფილება იყო. კოლა ერისთავი და ჯაბაური რომ არა ყოფილიყვნენ, ხომ არაფერი იქნებოდა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ როდესაც ებრაელი კითხულობდა ლექსს, ვიღაცამ დაუსტვინა, მაგრამ სამაგიეროდ ხალხმა ისეთი ტაში დაუკრა, რომ ვიღაც „ჭეშმარიტის“ სტვენა შთაინთქა. კონცერტი ძლიერ გვიან გათავდა. თითქმის ხუთი საათი იყო, რომ ხალხი დაიშალა.

# აკაკის ფონდი

**თელავი.** მგოსან აკაკი წერეთლის იუბილეის გამო თელავში შემდგარი კომიტეტი გიგზავნით აკაკის ფონდის სასარგებლოდ 7 დეკემბერს 1908 წ. გამართულ საიუბილეო წარმოდგენის ანგარიშს:

შემოსავალი: ბილეთები გაიყიდა—225 მან., პრემია—9 მ. 60 კ., ღია ბარათები და აკაკის სურათები გაიყიდა 6 მ. 6. კ. სულ 240 მან. 66 კაპ.

ხარჯი: კლუბის ქირა—10 მან., პარიკმახერს—5 მ. 5 კ., პოლიციელებს—1 მ. 50 კ., მესამსახურეებს და მუშებს—5 მ. 75 კ., წვრილი ხარჯი (ლურსმანი, თიკი, პუდრი, ლენტი და სხვა) 7 მ. 47 კ., პოეტის რჩეული ლექსები, ღია ბარათები და აკაკის სურათები—19 მან. 30 კაპ., ადრესის ქაღალდი მგზავნით ტფილისიდან—1 მ. 70 კ., დეპეშები, ფოსტის ხარჯი და ქაღალდი—9 მან. 19 კ., აფიშები და ბილეთები—6 მ. 60 კ., ფათალი და დაფნის ფოთოლი გვირგვინისათვის 1 მ. და ბილეთების მარკები—9 მ. 65 კ. სულ 80 მან. 21 კაპ.

წმინდა დარჩა 160 მან. 45 კაპ. რომელიც ამასთან ერთად იგზავნება „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას“ (ფოსტის კვიტანციის N 119) აკაკის ფონდისთვის.

კომიტეტი დიდ მადლობას უძღვნის ყველა იმას, ვინც მონაწილეობა მიიღო ზარობში და წარმოდგენაში და განსაკუთრებით ქ-ნთ ბ. და მამინაიშვილისას თამარ ცხვირის როლის ასრულებისათვის, ი. როსტიაშვილისას და ბ. გ. ჭყონიძეს პატარა ჯიმა მონაწილეობისათვის, დ. აწყურელს რეჟისორობისათვის, კნ. ს. ანდრონიკაშვილისას ლექსების წაკითხვისათვის, ივ. კაკატოშვილს და ი. ჭიკაძეს მგალობელთა გუნდის მოწყობისათვის და ბ აჯიმამუდოვს ცოცხალი სურათების დადგმისათვის. კომიტეტი არა კარგავს იმედს, რომ იმის მოქმედებას ერთდროული ხასიათი არა ჰქონდა: ყოველ წლივ გამართული იქნება თელავს საზოგადოების მონაწილეობით ჩვენი სასიქადულო მგოსნის პატივსაცემად აკაკის საღამო, რომლის შემოსავალიც მუდმივ წყაროდ გაუხდება პოეტის სახელობაზე არსებულ სალიტერატურო ფონდს.

კომიტეტის თავმჯდომარე **ვ. კახიძე.**
მდივანი **ვ. პაატაშვილი.**


# განცხადებანი

ტფილისის ქალაქის

**გამგეობა**

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ მან იჯარით უნდა გასცეს ქვიშისა და წვრილ ქვის გატანისა ქალაქის რიყეებიდან, ვერის ხიდს ზემოდ.

პირობების გაგება შეიძლება გამგეობის მეოთხე განყოფილების კანცელარიაში და პირველ ნაწილის აგენტის კანტორაში, ვერის მოედანზე. (1—6.—1)

ბავშვებისათვის საახალ-წლო საჩუქარი

ამ კვირაში გამოვიდა ...

**„მამაცი მგზავრები“**
ფასი 25 კაპ.

2

**„მშიერი მგელი“**
ფასი 10 კაპ.

იყიდება წერა-კითხვისა და ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიაში. მთავარი საწყობი: Тифлисъ, книжный магазинъ „Общества Грамотности“. ვინც ათობით გამოიწერს ამ საწყობიდან, დაეთმობა 20%, გზის ხარჯი მყიდველისაა. (10—154—1)



1/5

კავკასიის ამხ—ბა სათესლე მეურნეობისა

**კვეეს და ამხ.-ბა**

ტფილისი, მიხეილის პრ., 55., ჰყიდის: უმაღლეს თესლებს საბოსტნე, საყვავილე და სახოფლო-სამეურნეო თესლეულობას. თესლი იონჯისა, საუკეთესო თესლისა, 1 ფუთი—17 მანეთად, 1 გირვანქა—50 კაპ. პრეის-კურანტი უფასოდ. (10—ხალ.—3)

**სამკურნალო**
გარედან მოსიარულეთათვის ექიმი ა. ი. გრიგორიანისა.
რიყის ქ., ს. N 78, (სათივე მოედ. პირდაპირ.)

**ს. მ. ახპისოვი**—ყელისა, ცხვირისა და ყურისა 2—3 საათმდე.
**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიული ავადმყოფობანი 12—1 ს.
**ს. შ. მირზოევისა**—თვალის ავადმყოფობანი 12—1 ს.
**ი. ა. ფრიდონოვი**—შინაგანი და ბავშვის ავადმყოფ. 1—2 ს.
**ს. ა. თარხანოვი**—ბებიაობა, ქალისა და ბავშვის ავად. 9 ნახ.-დან 10 ნახ.-ს.-მდე.
**ა. ი. შახ-აზიზოვი**—საშარდე, ვენერ. (სიფილ.) და კანისა 2—3 ს.
**ნ. ბ. ნარიმანოვი**—შინ. და ქალ. 11—12 ს., 5—6 ს.
**ე. მ. ზვიაგინა**—კბილ. 9—11 ს.
**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**
ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით.
სამკურ. გამგე დ-რი **ა. ი. გრიგორიანი.** (100—ხალ.—17)

პირველი კერძო სამკურნალო

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს,
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**ყ. მ. ჩიქოვანი**: 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი**: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი**: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი**: 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი**: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი**: 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი**: 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი**: 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი**: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

# I-ლი კავკასიის საფუტკრე ადოლფ დიუმასი.



ტფილისი, მიხეილის პროსპ., N. 140.

სკები და მისი ნაწილები საკუთარ ელექტრო-ტეხნიკურ სახელოსნოში დამზადებული. ხელოვნური ფიჭი. მეფუტკრეობის იარაღი. თაფლის გამოსაწური, სანთლის გადამდნობი, შესტერნები, ვალცები და სხვა. დარიგება ხელოვნურად დედა-ფუტკრების გასაშენებლად.

საგანგებოდ შემშენებელი კავკასიის წმინდა ჯილაგის დედა-ფუტკრებისა.

თაფლი საკუთარ საფუტკრისა. წიგნები და სახელმძღვანელოები. სურათებიანი პრეისკურანტი უფასოდ. (10—ნახ.—4)


სტამბა „სინათლე“, დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აბლაძე.